

NUGZAR ASATIANI

გიორგი ასათიანი ვიზუალისტი

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები
GEORGIAN OLYMPIC CHAMPIONS



პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
ელგუჯა ბერიშვილი

THE PROJECT AUTHOR AND EDITOR-IN-CHIEF
Elguga Berishvili

პროექტის მენეჯერი
ემზარ ზენაშვილი

THE PROJECT MANAGER
Emzar Zenashvili

პროექტის კოორდინატორი
რუსულან აფცაური

THE PROJECT COORDINATOR
Rusudan Aptsauri

ტექსტი
გიორგი ფრანგიშვილი

TEXT
Giorgi Prangishvili

დიზაინი
ვახტანგ შატაიძე

DESIGN
Vakhtang Shataidze

რედაქტორი
ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, დავით ჭელიძე,
კარლო ფაჩულია, ზალ მიჯაფარძე, ინგა ალავიძე,
ნანა ჯოხარიძე, მაია ბერიშვილი, ივანე ბურნაძე

EDITORIAL STAFF
**Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, David Chelidze,
Inga Alavidze, Karlo Pachulia, Zaal Anjaparidze, Nana Jokharidze,
Maia Berishvili, Ivane Burnadze**

ფოტო
მიხეილ ზარგარანი, ალექსანდრე კოტორაშვილი,
www.sportphoto.ge

PHOTO
**Mikhail Zargaryan, Aleksandre Kotorashvili,
Jemal Kasradze, www.sportphoto.ge**

პარტნიორი
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობა
საქართველოს ფარიკაბის ფედერაცია

PARTNERS
**Georgian National Olympic Committee
Olympic Solidarity of the International Olympic Committee
Georgian Fencing Federation**

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები

ნუგზარ ასათიანი

2011

© საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია
© GEORGIAN SPORTS WRITERS ASSOCIATION



განაცხადი

ასეთი რამ სპორტში იშვიათად ხდება — ჭაბუკთა საკავშირო პირველობაში გამარჯვებულს მსოფლიოს სამგზისა და ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი რომ დაემარცხებინოს, მსგავსი შემთხვევის გახსენება სოლიდური სტაჟის მქონე გულშემატკივრებსაც გაუჭირდებათ. 18 წლის ნუგზარ ასათიანმა სწორედ ასეთ ტიტულიან მეტოქეს, უნგრელ ესპადრონისტთა კერპს — რუდოლფ კარპატის სძლია. იქნებ ვინმემ იფიქროს — ქართველზე ორჯერ უფროსი მაღიარი უკვე ვეტერანი იყო, აღარც თვალი უჭრიდა და აღარც იარაღიო, მაგრამ კარპატი ამის შემდეგ კიდევ ოთხ თალიმპიურ ოქროს და მსოფლიოს ჩემპიონის ამდენივე ტიტულს დაუფლაპირდა თუ გუნდურ ტურნირებში.

1955 წელს ლენინგრადში გამართული იმ საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი საბოლოოდ მაინც უნგრელი გახდა, ნუგზარ ასათიანის კარპატისთან გამარჯვება კი ტურნირის მთავარ სენსაციად იქცა. თბილისელმა ჭაბუკმა ალბათ სწორედ მაშინ ირწმუნა, რომ უკვე შეეძლო დიდოსტატებთან თანაბრად ბრძოლა.

...ნუგზარ ასათიანს რამდენიმე თვის დაწყებული ჰქონდა ფარიკაობაში ვარჯიში, პირველ შეჯიბრებაში რომ მიიღო მონაწილეობა და პირველი მარცხის გემოც მაშინ გაიგო. მომდევნო ტურნირშიც არ გაუმართლა. თავადაც ატყობდა, რომ თანატოლებს ჩამორჩებოდა, მაგრამ, მათგან განსხვავებით, წვრთნა არ ბეზრდებოდა და ხასიათიც ნამდვილი მუშკეტერისა აღმოაჩნდა. ეს მწვრთნელმა — ტრიფონ (ბიჭიკო) მესხმაც შენიშნა და ხშირად ხანგრძლივად ტოვებდა დარბაზში, მარტოს აგარჯიშებდა.

ტრიფონ მესხი თავადაც ახალგაზრდა იყო — ბავშვებთან მუშაობა რომ დაიწყო, ჯერ კიდევ საფარიკო ბილიკზე გამოდიოდა. განსაკუთრებული სპორტული მიღწევები არ ჰქონია — მხოლოდ ერთხელ გახდა საქართველოს ჩემპიონი, მაგრამ მოზარდების შერჩევის უნარი და მწვრთნელის ალლო აღმოაჩნდა. სიტყვაძუნობის მიუხედავად, შეგირდებთან საერთო ენის გამონახვა არ უჭირდა, ყველას თავისებურად უდგებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ნუგზარ ასათიანი, გურამ კოსტავა, მორის სახვაძე, ნიკოლოზ ანდრიაძე და სხვანი სრულიად განსხვავებული ხასიათის, ნიჭისა თუ უნა-

რის ჭაბუკები იყვნენ, ტრიფონ მესხმა ყველა მათგანი საკავშირო და საერთაშორისო რანგის ჩემპიონებად აღზარდა.

ფიზიკურად სუსტი აღნაგობის ნუგზარ ასათიანი, არც განსაკუთრებული ნიჭით ბრნყინავდა, მაგრამ ვარჯიშს არასდროს არ გაურბოდა და მწვრთნელ-შეგირდის დაღვრილი ოფლით მოპოვებული შედეგებიც ნელ-ნელა უმჯობესდებოდა.

„მე ბედმა გამიღიმა და კარგი მწვრთნელის ხელში მოვხვდი. იგი მაშინ საკმაოდ ახალგაზრდა იყო, მაგრამ ჩემს წარმოდგენაში დარჩა, როგორც ზედმინევნით გამოცდილი და გონებამახვილი ფარიკაობის მასნავლებელი. მესხს ჰქონდა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მეთოდიკა, გამრავლებული საუკეთესო ადამიანურ თვისებებზე. მის მიერ მოცემული ბევრი ჩინებული გაკვეთილი დღემდე კარგად მახსოვს და, ალბათ, არასოდეს წაიშლება ჩემს მესხიერებაში... ერთმანეთს გადაება მონოტონური ვარჯიშის დღეები, რომლებსაც თითქოს ბოლო არ უჩანდა. ფარიკაობის ანბანის დაუფლება ძალზე გამიჭირდა. ხანდახან მწვრთნელი შემაქებდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ეს ჩემს გასამხნევებლად იყო ნათქვამი“ (ნუგზარ ასათიანი, „მოფარიკავის ჩანაწერები.“ 1974).

მალე რაპირა ესპადრონზე გაცვალა და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მიღწეული წარმატებების შემდეგ საკავშირო არენაზეც გავიდა. 1954 წელს კიშინიოვში საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა პირველობა ტარდებოდა. დებიუტი იღბლიანი გამოდგა — პირველივე ორთაბრძოლაში იმარჯვა და ამით გახარებულმა, მეტოქეს იარაღი გაუცვალა. აქაც გაუმართლა, ამ ესპადრონით საბოლოოდ ვერცხლის მედალი ირგუნა.

კიშინიოვის საკავშირო ჩემპიონატის შემდეგ, იმავე წლის შემოდგომაზე ასათიანმა უკვე მოზრდილთა რესპუბლიკურ პირველობაშიც მიიღო მონაწილეობა. საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი თბილისის „დინამოს“ სტადიონის სპორტთამაშობათა დარბაზში ჩატარდა. ეს ბაზა სპორტსმენებისთვის, მსაჯებისთვის და გულშემატკიცრებისთვისაც ერთობ მოუხერხებელი იყო. ნუგზარმა საკმაოდ კარგად იასპარეზა, თავის მწვრთნელზე, ტრიფონ მესხზე უკეთესი შედეგიც კი აჩვენა.

იმ პერიოდში ასათიანი თბილისის განათლების განყოფილების ესპადრონისტების გუნდში გამოდიოდა და სხვა პერსპექტიულ ახალგაზრდებთან



7



ერთად, ტურნირში კონკურსგარეშე მონაწილეობდა, ხოლო მესხი სპორტსაზოგადოება „ნაუკას“ ღირსებას იცავდა. ალბათ ერთობ საინტერესო იქნებოდა შეგირდისა და ოსტატის პაექრობა, მაგრამ საფარიკაო ბილიკზე ისინი არ შეხვედრიან ერთმანეთს, მწვრთნელი რაპირისტების შეჯიბრებებში ასპარეზობდა. გუნდური ჩემპიონატის ფინალში ნაუკელებმა „მედიკი“ დაამარცხეს და რესპუბლიკის საუკეთესო კლუბის ტიტულიც დაისაკუთრეს. პირად პირველობაში მესხი მესამე ადგილს დასჯერდა.

უფრო საინტერესო გამოდგა ესპადრონისტების პაექრობები, სადაც ფინალურ შეჯიბრებებში უმეტესად ახალგაზრდებმა გააღნიეს. ორთაბრძოლები დაძაბულად და გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. მარცხს ვერც ფინალისტები გადაურჩნენ და მათ შორის ჩემპიონი გიორგი გოგელიაც. მანაც ორი შეხვედრა დათმო, თუმცა მეტოქებს აშკარად ჯობდა.

მეორე ადგილის პრეტენდენტებს შორის თანაბარი მოგებები აღმოაჩნდათ ნუგზარ ასათიანს, ჯონდონ მაჭავარიანს და ზაურ ბილანიშვილს. მათ შორის დაინიშნა დამატებითი შეხვედრები, რომლებშიც ასათიანმა იმარჯვა და ვერცხლის მედალიც დაისაკუთრა.

მაშინ, ალბათ, ძნელად თუ წარმოიდგენდა ტრიფონ მესხი, რომ „დინამოს“ სტადიონის იმ მოუხერხებელ დარბაზში, მასთან ერთად მომავალი ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი ასპარეზობდა.

მომდევნო სეზონში 18 წლის ჭაბუკი სარატოვში, თანატოლთა საკავშირო პირველობის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა და საბჭოთა ნაკრების კანდიდატთა შორისაც დაასახელეს. სწორედ მაშინ იყო ნევისპირა ქალაქში ლეგენდარულ უნგრელს, რუდოლფ კარპატის 5:4 რომ მოუგო. მსგავსი დაუვიწყარი გამარჯვებები ქართველ მუშკეტერს არაერთხელ მოუპოვებია. საბჭოეთის პერიოდში ქვეყნის ყველაზე მასშტაბურ ასპარეზობად სკავშირო სპარტაკიადები ითვლებოდა და მოკავშირე რესპუბლიკების საუკეთესო სპორტსმენებიც აქ იყრიდნენ თავს. 1959 წელს, მეორე სპარტაკიადაზე, ესპადრონისტთა ტურნირში საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში ასამდე მონაწილე ჩაეხა. ამგვარ კონკურრენციაში ნუგზარ ასათიანი გიორგი გოგელიასთან ერთად ფინალისტებში მოხვდა, იქ კი საბჭოთა ფარიკაობის ტიტულიან მეტოქებსაც სძლია. განსაკუთრებით სამახსოვრო



იყო იაკობ რილსკისთან და დავით ტიშლერთან ორთაბრძოლები. საკავშირო ნაკრების ვეტერანი — რილსკი მელბურნის ოლიმპიადის ბრინჯაოსაც ფლობდა და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულსაც. იგი იმ დონის მოფარიკავე იყო, რომ ერთ დროს ასათიანი ცდილობდა მისი სტილი გადმოელო და რომ არა მწვრთნელის დროული რჩევა, შეიძლება საკუთარი ხელწერაც დაეკარგა. ხალხთა სპარტაკიადაზე თბილისელმა მოფარიკავემ სწორედ თავის კერპს სძლია. გაიმარჯვა უდიდეს ტაქტიკოსთან, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორ დავით ტიშლერთანაც, ვისაც მსოფლიოს ბევრი გრანდი გაუმწარებია. საბოლოოდ, ევგენი ჩერეპოვსკისა და თავისი თანამემულის, გიორგი გოგელიას დამარცხებით, ასათიანი საპრიზო ექვსეულში მოხვდა.

„ხალხთა სპარტაკიადისთვის საქართველოს მოფარიკავეთა გუნდი სოხუმში ემზადებოდა. კობწია, თოვლივით ქათქათა ქალაქში ყველა პირობა იყო შექმნილი ნაყოფიერი წვრთნისთვის. და აი, დადგა დიდი გამოცდის ჟამიც... საფარიკაო ბილიკზე გამოდის იაკობ რილსკი, როგორც ყოველთვის, საკუთარ თავში დარწმუნებული, დინჯი და აუჩქარებელი. მოპირდაპირე მხარეზე ვდგავარ. შეხვედრა ნელ ტემპში დაიწყო. რილსკი ფარიკაობს ისე, როგორც ვარჯიშის დროს. აკადემიური სიზუსტით ასრულებს ცნობილ ხერხებს — ფარვას, იერიშს, კონტრშეტევას. მაგრამ მის ბრძოლას აკლია სიმძაფრე და შთაგონება. მე მბეზრდება ბეჯითი მოწაფის მდგომარეობაში ყოფნა. ერთბაშად ჩემში გროვდება ზღვა ენერგია. მაგრად ვბლუჟავ ესპადრონის სახელურს, ვემზადები ელვა შეტევისთვის და — 1:0 ჩემს სასარგებლიოდ.

რილსკი იხდის საფარიკაო ნიღაბს, უფრო მოხერხებულად იხურავს თავზე და ნერვულად ისწორებს ხელთათმანს. ბრძოლა განახლდა. რილსკი თითქოს შეიცვალა. სადღაა ცივი აკადემიზმი. ძლივს ვიგერიებ მის გააფრთხებულ იერიშებს, ვცდილობ კონტრშეტევაზეც ვიფიქრო. ვინც თავს იცავს, ის აგებს. ეს არის ფარიკაობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი. იერიშის დროს ჩემი მეტოქე უხეშად ცდება (თურმე რილსკისაც შეუძლია შეცდეს!), იხსნება და დაუყოვნებლივ დებულობს დარტყმას — 2:0. რილსკი უფრო ფრთხილი ხდება. იგი ელოდება ჩემს შეცდომას. ინიციატივა დათმო, თითქოს მეუბნება — აბა, იერიშზე როგორა ხარო. აი, სად არის საჭირო



საქართველოს
მოფარიკავეთა ნაკრები.
ზის, მარცხნიდან პირველი
— ნუგზარ ასათიანი.
1950-იანი წლები



სისწრაფე — ის იარაღი, რომელიც ადრე რილსკის კოზირად ითვლებოდა. ორმხრივ შეტევებში უკვე რიგრიგობით ვღებულობთ დარტყმებს, მაგრამ ბრძოლის ასეთი აზარტული მსვლელობა მე უფრო მანყობს. და აი, სანუკვარი გამარჯვებაც. გაოფლიანებული ჩამოვდივარ ფიცარნაგიდან. მწვრთნელი ხელს მართმევს და მეუბნება: რილსკისთანა მოფარიკავესთან ინიციატივას მუდამ უნდა ფლობდე. საქმარისია იგი დათმო და წააგებ“ (ნუგზარ ასათიანი, „მოფარიკავის ჩანაწერები.“ 1974).

იმ სპარტაკიადაზე, ზემოთ უკვე ითქვა, ასათიანმა დავით ტიშლერსაც აჯობა და როგორც თავად წერს, ამ გამარჯვებებიდან ყველაზე დიდი წონა ჰქონდა სწორედ ტიშლერთან მოგებას: „არც მანამდე და არც მას მერე, უფრო დიდი ტაქტიკოსი არ მინახავს. ტიშლერის საფარიკაო ერუდიცია უნაკლო იყო. ამ ტანმაღალ, კაფანდარა მოფარიკავეში დიდი სულიერი სიძლიერე იგრძნობოდა. მისკენ დამიზნებული ესპადრონი უფრო ხშირად ჰაერს კვეთდა, ანდა მისი იარაღის საფარველზე წკრიალებდა. ეს წკრიალი ავის მომასწავებელი იყო, რადგან მეტოქე დაუყოვნებლივ ისჯებოდა. იგი შეუვალ ციხე-სიმაგრეს ჰეგვდა, მასთან მარცხდებოდნენ მსოფლიოს გამოჩენილი მოფარიკავეები“ (ნუგზარ ასათიანი, „მოფარიკავის ჩანაწერები.“ 1974).

სასპარტაკიადო ბატალიება კარგი შედეგი გამოიღო. ახლოვდებოდა რომის ოლიმპიური თამაშები და ამ მნიშვნელოვანი გამარჯვებით, ნუგზარ ასათიანმა ქვეყნის მთავარ გუნდში მოხვედრაზე სერიოზული განაცხადი გააკეთა.

არმიოლთა ნინააღმდევ

1960 წელს ქართველ მოფარიკავეებს პირველად მიეცათ უცხოეთში ცალკე გუნდით გასვლის საშუალება. მანამდე ისინი მხოლოდ საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში თუ მონაწილეობდნენ სხვადასხვა რანგის ტურნირებში. იმ სეზონში კი საქართველოს ნაკრები თავისი პირველი ამხანაგური სამატჩი შეხვედრის ჩასატარებლად პოლონეთს გაემგზავრა, სადაც მასპინძელთა ეროვნულ გუნდს უნდა შეხვედროდა.

გასული საუკუნის ორმოცდაათიან-სამოციან წლებში პოლონელებს ძალიან ძლიერი მუშკეტერები ჰყავდათ, განსაკუთრებით ესპადრონში.

მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე მათ უკვე მოპოვებული ჰქონდათ გუნდური ვერცხლი, 1959 წლის ბუდაპეშტის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში კი თავად უნგრელები დაამარცხეს და ოქროს მედლები აიღეს. მოკლედ, პოლონელები ქართველებს პლანეტის უძლიერესი ნაკრების სტატუსით მასპინძლობდნენ.

პოლონელთა ლიდერი იყო ლეგენდარული ეჟი პავლოვსკი. 28 წლის ასაკში მან უკვე მოასწორ მსოფლიოს ჩემპიონის თრიტულის მოპოვება, მელბურნში კი ორი ვერცხლიც ირგუნა. მოგვიანებით იგი მსოფლიოს ჩემპიონატების კიდევ ხუთ ოქროს დაუფლა, ხოლო მეოთხე ათეულ წელში რომ გადადგა, მეხიკოს ოლიმპიადიდან სამშობლოში ჩემპიონის გვირგვინით დაბრუნდა.

ვარშავაში მასპინძლებმა საქართველოს ნაკრებს სხვა ტიტულიანი მეტოქეებიც დაახვედრეს. ესპადრონში პავლოვსკის გარდა გამოდიოდა ანჯეე პიონტკოვსკი — მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, რაპირაში — ახალგაზრდა ვიტოლდ ვოიდა, შემდგომში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი. პოლონელთა გუნდის სხვა წევრები, რაშარდ პარულსკი და ეგონ ფრანკე ერთნაირი წარმატებით ასპარზობდნენ სხვადასხვა იარაღით. პარულსკიმ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ჯერ რაპირაში მოიპოვა, ხოლო შემდეგ — დაშნაში, ფრანკე კი მსოფლიოს ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ თამაშებზე უმაღლეს ტიტულებს ესპადრონსა და რაპირაში დაეუფლა.

იმ პერიოდის პოლონური საფარიკაო სკოლა, ამ და სხვა ოსტატების ნებალობით, მთელ მსოფლიოში ცნობილი იყო. ისინი ტაქტიკური, გააზრებული ბრძოლით გამოირჩეოდნენ. არ სცნობდნენ სწორხაზოვან, ძალისმიერ მანერას. რომის ოლიმპიადის წინ ქართველი მუშკეტერებისთვის ასეთ სპარინგ-პარტნიორებთან სამატჩო შეხვედრის გამართვა გამოცდილების შესაძენად მეტად სასარგებლო იყო.

ესპადრონისტთა პირადი პირველობა, როგორც მოსალოდნელი იყო, მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა. სტუმართაგან ფინალში გასვლა მხოლოდ გიორგი გოგელიამ შესძლო. სამაგიეროდ, გაცილებით მწვავე გამოდგა გუნდური ასპარეზობა, სადაც ქართველმა ესპადრონისტებმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს ტიტულიან მეტოქეებს. განსაკუთრებით კარგად გამოვიდა ჯემალ გოგაძე. მან ოთხიდან სამ შეხვედრაში,



მათ შორის პავლოვსკისთანაც გაიმარჯვა, პოლონეთისა და საქართველოს ესპადრონისტების მატჩი კი საბოლოოდ ფრედ — 8:8 დასრულდა. საუკეთესო გუნდის გამოსავლენად მსაჯებს ჩხვლეტების დათვლა მოუნიათ. აქ მასპინძლებს უკეთესი შეფარდება აღმოაჩნდათ და პირველობაც მათ მიეკუთვნათ.

ნუგზარ ასათიანი: „ჩვენი გუნდების შეხვედრას იმდენად სპორტული მნიშვნელობა არ ჰქონია, რამდენადაც გამოცდილების ურთიერთგაზიარების, ოსტატობის ამღლების, ორი საფარიკაო სკოლის დაახლოების. პოლონეთის ტურნემ დიდი გავლენა იქონია ქართული საფარიკაო სკოლის შემდგომ განვითარებაზე. ჩვენი სპორტსმენებისა და მწვრთნელების უბის წიგნაკებში უამრავი ჩანაწერი გაჩნდა“ (ნუგზარ ასათიანი, „მოფარიკავის ჩანაწერები.“ 1974).

ყველა გზა რომელი მიღის

1960 წლის მთავარი შეჯიბრება, რა თქმა უნდა, რომის ოლიმპიური თამაშები იყო. აქამდე საბჭოთა მოფარიკავეების ოლიმპიურ მონაგარში შედიოდა გუნდურ და პირად ტურნირებში აღებული თითო ბრინჯაო. ამიტომაც, ნაკრების მწვრთნელები განსაკუთრებული გულმოდგინებით არჩევდნენ მომავალ ოლიმპიელებს, რომლებსაც ამოცანად უმაღლესი ჯილდოების მოპოვება დაუსახეს. რომის ოლიმპიადამდე რამდენიმე საკავშირო ასპარეზობა გაიმართა, ე.წ. უძლიერესთა ტურნირები. ნუგზარ ასათიანი ერთთავად საუკეთესოთა ხუთეულში ხვდებოდა (რომმაც ზუსტად ხუთი ესპადრონისტი უნდა გამგზავრებულიყო), თუმცა მხოლოდ ამ მაჩვენებლებით ქართველ სპორტსმენს სსრკ ნაკრებში არავინ მიიწვევდა.


გენერალური რეპეტიცია ივლისის პირველ რიცხვებში, სარატოვში გაიმართა.

სარატოვის სპორტის სასახლის არენაზე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მედლებისა და მეჩვიდმეტე ოლიმპიური თამაშების საგზურებისთვის ორმოცდაორი ესპანდრონისტი იბრძოდა. ეს მართლაც ბრძოლა იყო, ვინაიდან შეჯიბრებაში ქვეყნის ყველა უძლიერესი ოსტატი მონაწილეობდა.

დასაწყისისათვის მეტოქები 6-7 კაციან ჯგუფებად დაყვეს, თითო გამოკვეთილი ფავორიტით. ახალგაზრდა ნუგზარ ასათიანი და მორის სახვაძე ფავორიტთა შორის არ ყოფილან. ესპადრონში ელექტროაპარატურა ჯერ კიდევ არ არსებობდა და მსაჯების გადაწყვეტილებებიც, არც თუ იშვიათად, სუბიექტური იყო. ტიტულიან და ავტორიტეტულ სპორტსმენებს, როგორც წესი, ლმობიერად ეპყრობოდნენ.

ჩემპიონატის ფავორიტებმა პირველი ტური უდანაკარგოდ გაიარეს, ასპარეზობას მეტწილად აუტსაიდერები გამოეთიშნენ. მეორე ტურში მონაწილეთა რაოდენობა განახევრდა. ამჯერად უილბლოთა შორის აღმოჩნდნენ საკავშირო თუ საერთაშორისო ტურნირების პრიზიორებიც და ჩემპიონებიც. ნახევარფინალური ორთაბრძოლების შემდეგ საფარიკაო ბილიკს რვა პრეტენდენტიდა შემორჩა: ნ. ასათიანი, მ. სახვაძე, ე. ჩერებოვსკი, ა. ვეტროვი, ი. რილსკი, ლ. კუზნეცოვი, მ. რაკიტა და დ. ტიშლერი. სწორედ მათ შორის უნდა განანილებულიყო საპრიზო ადგილები, ოღონდ ვინ რომელს დაიკავებდა, ამას ოლიმპიურ გუნდში მოხვედრის გარდა, რომის თამაშების პირად პირველობაში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლადაც ჰქონდა მნიშვნელობა. ეს უფლება მხოლოდ საუკეთესო სამეულს ეძლეოდა. როგორც შემდგომ გაირკვა, ამ ბრძოლაში ნუგზარ ასათიანის უშუალო კონკურენტი იყო მოსკოველი არმიელი ლევ კუზნეცოვი. მას საკავშირო და საერთაშორისო არენაზე სოლიდური გამოცდილება ჰქონდა. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში რუსმა ოფიციერმა 1954-58 წლებში ზედიზედ ხუთჯერ მოიპოვა ვერცხლის მედლები. იგი მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონ იაკობ რილსკისთან აგებდა, თუმცა სსრკ ხალხთა II სპარტაკიადაზე მაინც მოიპოვა უძლიერესის ტიტული. გარდა ამისა, საბჭოელთაგან იმ პერიოდისთვის მარტო კუზნეცოვს ჰქონდა პირადი პირველობის ოლიმპიური მედალი, მსოფლიოს ჩემპიონატებზე კი სამჯერ გახდა პრიზიორი სსრკ ნაკრების შემადგენლობაში.

...ფინალური ორთაბრძოლები ლევ კუზნეცოვმა და მარკ რაკიტამ გახსნეს. გაიმარჯვა კუზნეცოვმა — 5:3. მეორე წყვილში იაკობ რილსკიმ დავით ტიშლერს ასეთივე ანგარიშით სძლია. როდესაც ფავორიტები ერთმანეთს დაუბირისპირდნენ, კუზნეცოვმა ვერ შესძლო რილსკის დამარცხება და ჩემპიონის ვინაობაც თითქოს უკვე გაირკვა. მაგრამ აქ საჩემპიონო და-



ვაში ყველასათვის მოულოდნელად ჩაერია თბილისელი ნუგზარ ასათიანი, რომელმაც ორჯერ მოუგო რილსკის და ოქროს მედლის მთავარი პრეტენდენტი მწყობრიდან გამოიყვანა. როგორც ჩანს, რილსკი ბრძოლის ასეთ შემობრუნებას არ ელოდა და ნერვებმა უმტყუნა: ჯერ ჩერეპოვსკისთან წააგო, შემდეგ — ტიშლერთან და ოქროს მედალიც დათმო.

ნუგზარ ასათიანმა სარატოვის საკავშირო ჩემპიონატის პირად პირველობაში საბოლოოდ მეოთხე ადგილი დაიკავა და, რაც მთავარია, უძუალო კონკურენტს — კუზნეცოვს აჯობა.

მთავარი ამბები ჯერ კიდევ წინ იყო. გუნდური ჩემპიონატის ფავორიტებად მოსკოველი არმიელები ითვლებოდნენ, რომლებსაც თანაბარი და ძლიერი შემადგენლობა ჰყავდათ: დავით ტიშლერი, ლევ კუზნეცოვი, უმარ მავლიხანოვი, მარკ რავიტა. „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს საკავშირო ნაკრებში ნუგზარ ასათიანთან და მორის სახვაძესთან ერთად გამოდიოდნენ ევგენი ჩერეპოვსკი და ვალერი უიტნი. იმ პერიოდისთვის ეს კვარტეტი, პრაქტიკულად, საბჭოთა ნაკრების სათადარიგო შემადგენლობად ითვლებოდა. მაგრამ სტუდენტებმა ტოლი არ დაუდეს საბჭოთა ოფიცერთა ნაკრებს. ალბათ ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ როგორ იბრძოდნენ ქართველი მოფარიკავეები ფინალურ შეხვედრაში თავიანთი



იზოლდა ესიაშვილი,
ნუგზარ ასათიანი,
კოტე გოგელია და
გურამ ქოსტავა

პირველი ტიტულის მოსაპოვებლად. ასათიანმა ზედიზედ დაამარცხა ტიშ-ლერი, რაკიტა და კუზნეცოვი. ამ დროისთვის ერთი ქულით (8:7) წინ მაინც არმიელები იყვნენ. გადამწყვეტი ბაქერობა ასათიანსა და მავლიხანოვს შორის გაიმართა. მოსკოველს მარცხის უფლებაც ჰქონდა, ოღონდ დიდი სხვაობით არ უნდა წაეგო, ქართველ მოფარიკავეს კი მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდა და ისიც მინიმუმ სამი ჩხვდეტის უპირატესობით.

მავლიხანოვი წამდვილი გუნდური მებრძოლი იყო, უკვე ფლობდა მსოფლიოს ჩემპიონატების მედლებს, კარიერა კი ორგზის ოლიმპიური და სამგზის მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულებით დაასრულა. ასეთი მეტოქის დამარცხება, თანაც სამქულიანი სხვაობით, უაღრესად რთული ამოცანა იყო, მაგრამ ქართველი მუშკეტერის შემართებამ, სისწრაფემ და გამარ-



ჯვების უინმა ოცნება რეალობად აქცია. ასათიანმა 5:2 სძლია მოსკოველ არმიელთა ბოლო იმედს და მორის სახვაძესთან ერთად საბჭოთა კავშირის ჩემპიონის პირველი ოქროს მედალი მოიპოვა.

ოლიმპიური გამოცდა

სარატოვში წარმატებით გამოვიდნენ სხვა ქართველი მოფარიკავე-ებიც. საკავშირო ჩემპიონატში პირველი მედალი აიღო გურამ კოსტავაშვილი (დაშვა). მან წინ მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონი, რიგელი ბრუნო ხაბაროვი გაუშვა და ვერცხლის მედალს დაეუფლა. იური ოსიპოვმა (რაპირა) ვორო-შილოვგრადის ვერცხლის ჯილდოს ბრინჯაო მიუმატა და ოლიმპიურ გუნ-დში მოხვედრის დიდი იმედიც მიეცა. მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც „ბურე-ვესტნიკის“ საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში ჩემპიონის ტიტულიც დაისაკუთრა. ახალგაზრდა ესპადრონისტთა ტურნირში მეორე ადგილი დაიკავა არჩილ გოგელიაშვილი. მართალია, მორის სახვაძეს ნუგზარ ასათიან-თან ერთად გუნდური ჩემპიონის ტიტული ერგო, მაგრამ პირად ჩათვლაში მხოლოდ მერვე ადგილი დაიკავა.

რომის ოლიმპიადის წინ საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ბოლო საწვრთნე-ლი შეერება მოსკოვის მახლობლად, ქალაქ ბალაშიხაში მოაწყო. ქართვე-ლი მოფარიკავეებიდან ზოგს ოლიმპიური თამაშების საგზურის მოპოვების რეალური შანსი ჰქონდა, სხვები კი სპარინგპარტნიორობას უწევდნენ თა-ნაგუნდელებს.

მწვავე კონკურენციის გამო, ქვეყნის მთავარ გუნდში მოხვედრა ძალ-ზე რთული იყო. ამიტომ, გაუთავებელ ვარჯიშებზე თავს არავინ ზოგავდა. ქართველი მუშკეტერები ერთმანეთს ამხნევებდნენ, რჩევა-დარიგებას არ აკლებდნენ, ერთმანეთზე ზრუნავდნენ. შეგირდებს თვალს არ აცილებდა ტრიფონ მესხიც, თუმცა ნაკრების დაკომპლექტებაში გადამწყვეტი სიტყვა მოსკოველ მწვრთნელებს და ნაკრების თავკაცს, ლევ საიჩუკს ეთქმოდათ.

მელბურნის ოლიმპიადაზე საბჭოთა ესპადრონისტებმა მესამე ადგი-ლი დაიკავეს. მათ მხოლოდ აღიარებულმა ფავორიტებმა უნგრელებმა და

პოლონელებმა აჯობეს. ამჯერად, საბჭოელი მაღალჩინოსნები უკეთეს შე-დეგს მოითხოვდნენ მთლიანად ოლიმპიური დელეგაციისგან და მოფარიკა-ვეებისგანაც. ნაკრების ხელმძღვანელთა ნაწილი შემადგენლობის გადახა-ლისების მომხრე იყო, სხვები კი გამოცდილ, ტიტულიან ვეტერანებს უფრო ენდობოდნენ. ნუგზარ ასათიანის პირადი კონკურენტი, ლევ კუზნეცოვი სწორედ ასეთებს განეკუთვნებოდა, მაგრამ ქართველ მოფარიკავეს სეზო-ნის განმავლობაში ბევრად უკეთესი შედეგები ჰქონდა და, საბოლოოდ, რო-მის საგზურს სწორედ თბილსელი ესპადრონისტი დაეუფლა.

დაშნის ოსტატთა ხუთეულმი მოხვდა გურამ კოსტავაც. საოლიმპია-დოდ მისი მზადყოფნა ეჭვს არ იწვევდა. სამწუხაროდ, ქვეყნის საუკეთესო რაპირისტთა გუნდში კვლავ არ შეიყვანეს იური ოსიპოვი. მას რაპირისტე-ბის მთავარი მწვრთნელი ივან მანაენკო არ სწყალობდა. მიუხედავად იმისა, რომ იმ სეზონში თბილისელ მოფარიკავეს საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონ-და, მანაენკომ იძალა და ოლიმპიურ ნაკრებში თავისი შეგირდი, იური რუ-დოვი შეიყვანა.

* * *

ფარიკაობა იტალიელებისთვის ეროვნულ სახეობად შეიძლება ჩაით-ვალოს. მათ ყოველთვის ჰყავდათ ჩინებული მუშკეტერები. თანამედრო-ვეობის პირველივე ოლიმპიური თამაშებიდან დაწყებული, იტალიელებმა მონინავე პოზიციები დაიკავეს და არაერთი დიდი გამარჯვება მოიპოვეს. ლეგენდარული მუშკეტერების სახელი დაიმკვიდრეს ექვგზის ოლიმპიურ-მა ჩემპიონებმა ნედო ნადიმ და ედოარდო მანჯაროტიმ. მეოცე საუკუნის დასაწყისში ნადის ტოლი არ ჰყავდა ფარიკაობის არც ერთ დისციპლინაში. 1912 წლის სტოკოლმის ოლიმპიადაზე რაპირისტების ტურნირი მოიგო, ხოლო ანტვერპენის მეშვიდე თამაშებზე ფანტასტიკური შედეგი ჰქონდა, რომელიც დღემდე არავის არ გაუმეორებია. ნედო ნადი იქროს მედლებს დაეუფლა იტალიის სამივე ნაკრებთან ერთად: რაპირაშიც, ესპადრონშიც და დაშნაშიც, პირად პირველობაში კი რაპირისტების და ესპადრონისტების ტურნირებში გაიმარჯვა. ხუთი იქროს მედალი ერთ ოლიმპიურ თამაშებზე — ამ შედეგით დღემდე ამაყობენ იტალიელები.




19





საქართველოს
მოფარიკავეთა ნაკრები
(შუაში დგას
ნონა გალინდაშვილი)
1960 წელი



ნუგზარ ასათიანი სსრ
კავშირის ხალხთა
სპარტაკიადაზე.
მოსკოვი, 1967 წელი

აპენინელებმა ესპადრონში გუნდური გამარჯვება ბოლოს 1924 წლის პარიზის ოლიმპიადაზე მოიპოვეს. შემდეგ უნგრეთის ჰეგემონიის ხან-გრძლივი პერიოდი დადგა. მადიარებმა ამსტერდამის თამაშებიდან მოყოლებული, ზედიზედ ექვსჯერ არავის არ დაუთმეს არც პირადი და არც გუნდური ოქრო, ხოლო იტალიელებს ერთთავად ვერცხლის მედლებიდა რჩებოდათ. ამჯერად, საკუთარ კედლებში, მათ გამარჯვების იმედი ჰქონდათ და რომის კონგრესის სასახლეც, სადაც მოფარიკავეთა ასპარეზობები ტარდებოდა, მუდამ სავსე იყო გულშემატკივრებით.

საბჭოთა ესპადრონისტების ოლიმპიური შედეგი, ხანგრძლივი მზადების მიუხედავად, საკმაოდ მოკრძალებული გამოდგა. პირველ წრეში არგენტინელებს კი აჯობეს, მაგრამ მეორეში აშშ-ის გუნდთან ფრედ დაასრულეს შეხვედრა. ჩხვლეტების უკეთესი შეფარდების წყალობით, მომდევნო ეტაპზე ამერიკელები გავიდნენ. საბჭოთა ნაკრები ასპარეზობას მეოთხედფინალიდან გამოეთიშა. ნუგზარ ასათიანმა ოთხი ორთაბრძოლა მოიგო და ორჯერ დამარცხდა. ასეთივე შედეგი ჰქონდა მას პირად პირველობაშიც.

„რომის ოლიმპიადამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, არასასიამოვნო მოგონებები დამიტოვა. იმ დროისთვის საერთაშორისო სარბიელზე თითქმის არ მიცნობდნენ, ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს სპორტსმენის მორალური სიმხევისთვის. უცნობ მოფარიკავეს არც მსაჯები სწყალობენ. ამ დამოკიდებულების სუსზი წინასწარი შეხვედრების დროსვე ვიგრძენი. მჩაგრავდა არა მარტო ძლიერი მეტოქების ოსტატობა, არამედ მსაჯების დაუნდობლობაც... ამით სრულებითაც არ ვაპირებ თავის მართლებას. ჩემი მარცხი კანონზომიერი იყო. მე უნდა მეზრუნა ფარიკაობის მსოფლიო სტანდარტების დაუფლებისთვის, რასაც დამატებითი მუშაობა ესაჭიროებოდა. აი, როგორი დასკვნა გამოვიტანე რომის ოლიმპიური თამაშებიდან“ (ნუგზარ ასათიანი, „მოფარიკავის ჩანაწერები.“ 1974).

* * *

რომის ოლიმპიადაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ გამოცდილებას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. უნგრეთის ეროვნულმა ნაკრებმა კვლავ მოიპოვა ოქროს მედლები, მათმა უბერებელმა ვარსკვლავმა, რუ-



დოლფ კარპატიმ კი ორმოცი წლის ასაკში პირადი პირველობაც მოიგო და ექვსი ოლიმპიური ოქროს მედლითა და მსოფლიოს ჩემპიონის შვიდი ტიტულით სწორედ რომში დასრულა თავისი ხანგრძლივი კარიერა.

მარადიული ქალაქიდან ქართველი მოფარიკავეები უმედლოდ მაინც არ დაბრუნებულან. დაშნის ოსტატთა გუნდურ ტურნირში გურამ კოსტავაშ საბჭოთა ნაკრებთან ერთად ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

საკავშირო ნაკრების თავკაცების ყურადღება გურამ კოსტავაშ პირველად 1957 წელს მიიჰყორ. მაშინ იგი ვოროშილოვგრადში მიმდინარე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობდა და რევაზ ცირეკიძესთან და კოტე გოგელიასთან ერთად სპორტსაზოგადოება „ბურვესტნიკის“ ღირსებას იცავდა. ქართველ მოფარიკავეებს უკვე იმდენად დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ, რომ სტუდენტთა მთავარ გუნდში ისინიც შეიყვანეს. ასე, რომ „ბურვესტნიკის“ საკავშირო ნაკრების ოთხი წევრიდან სამი თბილისელი იყო.

გუნდური ჩემპიონატის ოქროს მედლებისათვის გადამწყვეტი გამოდგა „ბურვესტნიკისა“ და „დინამოს“ დაშნით მოფარიკავეთა შეხვედრა. გურამ კოსტავაშ პარტნიორებთან ერთად ღირსებულად ჩაატარა ორთაბრძოლები, თუმცა არც დინამოელები იყვნენ სუსტები. ანგარიში რამდენჯერმე გათანაბრდა. ბოლო ბრძოლის წინ სტუდენტები ანგარიშით 8:7 იგებდნენ. ჩერნუშევიჩთან დასკვნით შეხვედრაში რევაზ ცირეკიძეს წაგების უფლებაც ჰქონდა, ოლონდ არა უმეტეს სამი ჩხვლეტის სხვაობით. ქართველმა მუშკეტერმა მწვრთნელის დავალება ზუსტად შეასრულა. მატჩი ფრედ 8:8 დასრულდა, მაგრამ ერთადერთი ჩხვლეტით წინ „ბურვესტნიკის“ გუნდი გავიდა. მაშინ კოსტავაშ დიდების ტურნირებში თავისი პირველი ოქროს მედალი ირგუნა.

გურამ კოსტავა თანაგუნდელებს პირადი პირველობის დროსაც დაეხმარა — ფინალურ ეტაპზე საქართველოს ნაკრების ლიდერს, რევაზ ცირეკიძეს სწორედ მან ჩამოაცალა გზიდან ოქროს მედლის ერთ-ერთი კანდიდატი იუზას უდრასი. ამასთან, ეს საკმაოდ კურიოზულ სიტუაციაში მოხდა. ერთ-ერთ ფინალურ შეხვედრაში ქართველს სამჯერ გაუტყდა დაშნა და მორიგი ბრძოლის წინ უიარალოდ დარჩა, არადა, მომდევნო წრეში სწორედ იუზას უდრასი — საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონს ხვდებოდა. უდრასმა თავად ათხოვა მეტოქეს სათადარიგო იარალი, ხოლო როცა გურამ

Первенство СССР

САБЛЯ

Фамилия

АЛАНАКЯН

ЧЕРЕПОВСКИЙ

МЕЛЬНИКОВ

1 2 3 4 5

ВИ
ВИ
ВИ



სსრ კავშირის ჩემპიონი —
სპორტსაზოგადოება
„ბურევესტნიკის“ ნაკრები.

მარცხნიდან:
მორის სახვაძე,
ბორის მელნიკოვი,
ვვერცხნი ჩერებოვსკი,
ნუგ ზარ ასათიანი და
ამირ ალანაკიანი

Р 1962 г.

РИНАЛ

6	7	9	Медо
В	В	В	
И	И	И	
П	П	П	



კოსტავაშ დაძაბულ ბრძოლაში 5:4 გაიმარჯვა, უდრასმა დაშნა საჩუქრად დაუტოვა.

საქმე ისე წავიდა, რომ ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად რევაზ ცირეკიძეს მხოლოდ ერთი ბრძოლა უნდა მოეგო. გუნდური პირველობის მსგავსად, მისი მეტოქე ამჯერადაც მინსკელი ჩერნუშევიჩი იყო, თუმცა ახლა ქართველ მოფარიკავეს მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდა. რევაზ ცირეკიძემ 5:2 მოიგო და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

დაშნით მოფარიკავეთა იმ ტურნირში ნუგზარ ასათიანიც მონაწილეობდა. გურამ კოსტავას მსგავსად, მანაც სამი ბრძოლა მოიგო, ოლონდ ერთი ჩხვლეტით მეტი მიიღო და საბოლოოდ მეშვიდე ადგილი დაიკავა, ხოლო კოსტავაშ — მეექვსე.

ვოროშილოვგრადის საკავშირო ჩემპიონატში გურამ კოსტავაშ სპეციალისტებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ერთდროულად შეიყვანეს საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ და მოზრდილთა ნაკრებებში. ორივე ნაკრებთან ერთად მან მომდევნო, 1958 წელს მსოფლიოს ჩემპიონატებზე იასპარეზა და ჯერ ბუქარესტში, ხოლო შემდეგ ფილადელფიაში, ერთი ნაბიჯი დააკლდა საპრიზო სამუშაოდ. სამაგიეროდ, 1959 წლის მსოფლიოს ჩემპიონატიდან, რომელიც ბუდაპეშტში ჩატარდა, გურამმა გუნდური ვერცხლი ჩამოიტანა. საბჭოთა ნაკრებს მანამდე მსგავსი წარმატებისთვის არ მიუღწევია.

* * *

რომის კონგრესის სასახლის არენაზე დაშნით მოფარიკავეთა გუნდურ ტურნირში ოცდაერთი ქვეყნის ეროვნული ნაკრები ჩაება. თუკი ესპანდრონში მსოფლიო მოდის კანონმდებლები უნგრელები იყვნენ, დაშნაში უცილობელ ფავორიტებად მასპინძლები ითვლებოდნენ. ბოლო ორ ოლიმპიადაზე, ჰელსინკიშიც და მელბურნშიც, იტალიელებმა გუნდური ჩემპიონობაც მოიგეს და პირადიც. რაც შეეხებათ საბჭოელებს, მათ რეალურ კონკურენტად არავინ მიიჩნევდა.

შესარჩევი ასპარეზობების პირველ ტურში საბჭოთა ნაკრების მეტოქე ლიბანის გუნდი იყო. როგორც ჩანს, გურამ კოსტავას თანაგუნდელებმა კარგად ვერ შეაფასეს მონინააღმდეგეთა შესაძლებლობები და ეს შეხვედ-



რა ფრედ დაამთავრეს. სამაგიეროდ, შემდეგ ზედიზედ დაამარცხეს შვეიცარიელები და გერმანიის გაერთიანებული ნაკრები. ნახევარფინალში, მასპანძლებთან შეხვედრაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ოლიმპიური ჩემპიონების უპირატესობა აშკარა იყო. ჯუზეპე დელფინოს და მისი პარტნიორების ოსტატობა საბჭოთა კვარტეტზეც უკეთესი იყო და დანარჩენ მეტოქეებზეც. მათ 9:6 გაიმარჯვეს კიდეც, ხოლო შემდეგ ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულიც შეინარჩუნეს.

გურამ კოსტავას, საკავშირო ნაკრების სხვა წევრებთან ერთად, ახლა მხოლოდ ბრინჯაოს მედლებისთვის შეეძლო ბრძოლა, მაგრამ ეს საქმაოდ რთული ამოცანა გახლდათ. საბჭოელები მესამე ადგილისთვის უნგრელ მოფარიკავებს უნდა შეხვედროდნენ. როგორც წინა ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორები, უნგრელები ამჯერად პირდაპირ მეოთხედფინალიდან ჩაეცინ ბრძოლაში. ეს მათთვის, ცხადია, ერთგვარი ფორა იყო. უნგრეთის გუნდს სხვა უპირატესობაც ჰქონდა: ლ. მაროში, ტ. გაბორი, ი. კაუსი და ი. შაკოვიჩი საერთაშორისო არენაზე აღიარებული მუშკეტერები იყვნენ. მათგან ორს, იშტვან კაუსასა და იოჟეფ შაკოვიჩს, გურამ კოსტავა უკვე იცნობდა. ერთი წლით ადრე, ბუდაპეშტის მსოფლიოს ჩემპიონატზე უნგრელებმა ოქროს მედლები მოიპოვეს, ხოლო საბჭოელებმა და მათ შორის ქართველმა მოფარიკავებ — ვერცხლი.

აქ, რომში მესამე ადგილისთვის შეხვედრაში საბჭოთა ნაკრების ლიდერობა გურამ კოსტავამ იყიდა. მან უნგრელებთან გამართული ოთხივე ბრძოლა მოიგო, რამაც მნიშვნელოვანნილად განაპირობა საბოლოო შედეგი — გუნდური ბრინჯაო. ქართველი მოფარიკავისათვის ეს პირველი ოლიმპიური მედალი იყო. მთლიანობაში, რომის ოლიმპიური თამაშების გუნდურ ტურნირში კოსტავამ ჩვიდმეტი ორთაბრძოლიდან ცამეტში იმარჯვა.

გურამ კოსტავამ ბოლომდე იბრძოლა პირად პირველობაშიც. აქ მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობამ — ოთხმოცამდე სპორტსმენმა მოიყარა თავი და შეჯიბრებებიც რამდენიმე ეტაპად ჩატარდა. ქართველმა მოფარიკავემ სტარტი წარმატებით აიღო, მეთექვსმეტედფინალში მხოლოდ ერთმა კონკურენტმა გაუსწრო და მეორე შედეგით დაასრულა ასპარეზობა. შედარებით უფრო რთული გამოდგა მერვედფინალური შეხვედრები, სადაც





კოსტავას ერთ-ერთი მეტოქე იყო მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, იტალიელი ალბერტო პელეგრინო. გულშემატკიცრების მხარდაჭერით გამხნევებული პელეგრინო თავიდანვე დაწინაურდა და სულ მალე 4:1-ს იგებდა. საბოლოო გამარჯვებისთვის მას ერთი ქულალა სჭირდებოდა, მაგრამ ქართველი არ ნებდებოდა. მეტიც, გურამ კოსტავამ ისეთი აზარტით შეუტია, რომ იტალიელი ველარ ახერხებდა მის შეჩერებას. ჯერ ერთი ქულის დათმობა მოუწია, შემდეგ მეორის, ხოლო როდესაც ანგარიში გათანაბრდა და 4:4 გახდა, გამარჯულებელი ხმაურისაგან დარბაზი ლამის დაინგრა. პელეგრინო გატყდა. კოსტავამ ეს დაუვიწყარი ორთაბრძოლა 5:4 მოიგო.

თასები ჩრარა

რომის ოლიმპიური თამაშების შემდეგ თვენახევარიც არ იყო გასული, თბილის უნგრეთის სტუდენტ მოფარიკავეთა ნაკრები რომ ეწვია. სტუმრებს ყველა სახეობაში თანაბრად ძლიერი შემადგენლობა ჰქონდა, განსაკუთრებით — ესპადრონში. იტალიის დედაქალაქში მათ შეცხრედ იზეიმეს გუნდური გამარჯვება. ესპადრონის უნგრელ ოსტატებს კიდევ ორი უნიკალური ოლიმპიური რეკორდი ეკუთვნით, სტოკჰოლმისა და ჰელსინკის თამაშებზე სამივე საპრიზო ადგილი მათ დაიკავეს. ჰელსინკში ჩემპიონი გახდა ფარიკაობის კიდევ ერთი ლეგენდა, პალ კოვაჩი და რუდოლფ კარპატის მსგავსად, თავისი მეექვსე ოლიმპიური ოქროს ჯილდო მანაც ორმოცინლისამ დაისაკუთრა.

კოვაჩის გვარი ჩვენი დედაქალაქის სტუმართა დელეგაციიშიც ფიგურინებდა, თუმცა თბილისში სახელოვანი მამის შვილი, უმცროსი ა. კოვაჩი გვეწვია. ბუნებრივია ყველას აინტერესებდა დიდი პ. კოვაჩის მემკვიდრის პაექრობა ქართველ ესპადრონისტებთან. უნგრელებს ძლიერი მუშკეტერები ჰქონდათ სხვა სახეობებშიც.

მატჩი გუნდური ასპარეზობებით დაიწყო. რაპირისტ ქალთა პაექრობაში 10:6 უნგრელებმა იმარჯვეს, ხოლო ვაჟებში — ქართულმა კვარტეტმა 9:7 აიღო რევანში. მეორე დღეს გ. კოსტავასა და კ. გოგელიას ოსტატობის წყალობით დაშნაშიც თბილისელმა მოფარიკავეებმა იმარჯვეს — 9:7 და

საერთო ანგარიშშიც დაწინაურდნენ — 2:1. საუკეთესო გუნდი ესპადრონისტთა შეხვედრას უნდა გაერკვია, აქ კი მაღიარებს სოლიდური უპირატესობის იმედი ჰქონდათ. ქართველმა მუშკეტერებმა პრაქტიკულად არაფერი დაუთმეს მეტოქეს. როდესაც ანგარიში 8:7 იყო სტუმართა სასარგებლოდ, საფარიკაო ბილიკზე ნ. ასათიანი და მ. მესენა გამოვიდნენ. უნგრელი სწორედ იმ ნელს გახდა ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონი, თუმცა ასათიანმა მეტოქეს შანსი არ დაუტოვა — 5:1. საბოლოოდ, ესპადრონისტთა შეხვედრები ფრედ 8:8 დასრულდა, მაგრამ ჩხვლეტების უკეთესი შეფარდება უნგრელებს აღმოაჩნდათ და საერთო გუნდური ანგარიშიც გათანაბრდა — 2:2.

ბოლოს გაიმართა პირადი პირველობა. რაპირისტ ქალთა შორის უნგრელმა სალონტამ გაიმარჯვა, ვაჟებში — ოსიპოვმა, დაშნაში — კოსტავამ. ამრიგად, სამი სახეობიდან ორში ქართველმა მუშკეტერებმა იმარჯვეს. უნგრელების ბოლო იმედი ისევ ესპადრონი იყო. გადამწყვეტ შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ასათიანი და კოვაჩი. უნგრელი 4:1 დაწინაურდა და როცა ყველას ეგონა, რომ უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, ასათიანმა იშვიათი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა და შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაამთავრა — 5:4.

საქართველოსა და უნგრეთის მოფარიკავეთა სამატჩო შეხვედრის ემოციები ჯერ კიდევ არ იყო დამცხრალი, რომ თბილისმა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებას უმასპინძლა. მოფარიკავებმა მსგავსი ტურნირების გამართვა 1958 წლიდან დაიწყეს. პირველ გათამაშებაში, რომელიც ვილნიუსში ჩატარდა, ჩვენებურთაგან მხოლოდ იური ოსიპოვმა შეძლო ფინალში გასვლა, თუმცა საბოლოოდ მეორე ადგილს დასკერდა. მომდევნო წელს, ერევანში ქართველები საპრიზო ადგილებზე ვერ გავიდნენ. ყველას ეიმედებოდა რომ ამჯერად ნავსი გატყდებოდა და მასპინძლები შეძლებდნენ თასის დაუფლებას.

საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებები, მოფარიკავეთა სხვა ტურნირებისგან განსხვავებით, ოლიმპიური სისტემით ტარდებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ პირველივე მარცხის შემდეგ სპორტსმენი კარგავდა ბრძოლის გაგრძელების უფლებას. სამაგიეროდ, შეხვედრა 10 ჩხვლეტამდე გრძელდებოდა, რაც მეტ-ნაკლებად გამორიცხავდა შემთხვევითობას.



საკავშირო თასის გათამაშება რაპირისტ ვაჟთა ტურნირით დაიწყო. ქართველ სპორტსმენებს შესანიშნავი მაგალითი მისცა იური ოსიპოვმა, რომელმაც ყველა მეტოქეს სძლია და პირველი დაეუფლა საპატიო ჯილდოს. ამას მოჰყვა დაშნით მოფარიკავეთა შეჯიბრება და გურამ კოსტავას ბრწყინვალე გამარჯვება.

განსაკუთრებით ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა ესპადრონისტთა ტურნირზე. ტიტულიანი იაკობ რილსკისა და დავით ტიშლერის გარდა, თასისთვის იბრძოდა საბჭოთა კავშირის პრაქტიკულად ყველა უძლიერესი ოსტატი. მათ შორის იყვნენ საკავშირო ჩემპიონატებისა და თასის გათამაშებების ფინალისტებიც: გ. იაკუბოვი, ი. პერელნცევი, ბ. მელნიკოვი, ა. ხარხალუბი, ა. ვეტროვი, უკრაინელი ე. ჩერეპოვსკი კი ასათიანთან ერთად რომის ოლიმპიურ თამაშებში გამოდიოდა, ოთხი წლით ადრე მელბურნში კი გუნდური ბრინჯაოს მედალი აიღო.

XVII ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა ესპადრონისტების ნაკრები ერთობ უფერულად გამოვიდა და საერთო გუნდურ ჩათვლაში ქულაც ვერ აიღო. ბუნებრივია, სპეციალისტები ახალი სახელების გამოჩენას ელოდნენ. მწვრთნელების მოლოდინი არ გამართლდა: ახალცედებიდან ოსტატების დამარცხება ვერავინ შესძლო და ასპარეზობების პირველმა წრემ სენსაციების გარეშე ჩაიარა. შეჯიბრებების მეორე ეტაპიდან, როდესაც თასის მაძიებელთა რაოდენობა განახევრდა, გამოცდილ ესპადრონისტებს უკვე ერთმანეთთან უნევდათ ურთიერთობის გარკვევა და მერვედფინალის პირველი მსხვერპლი თასის 1959 წლის მფლობელი, უკრაინელი ჩერეპოვსკი შეიქნა. დაძაბულ ბრძოლაში მან 8:10 წააგო მოსკოველ ხარხალუბთან, რომელიც თავის მხრივ მეოთხედფინალში სომები ალანაკიანთან დამარცხდა. სამწუხაროდ, მეოთხედფინალში წააგო სახვაძემაც (ლენინგრადელ ვეტროვთან). ტურნირს გამოეთიშა კიდევ ერთი თბილისელი არჩილ გოგელიაც და თასის გათამაშების ნახევარფინალს ქართველთაგან მხოლოდ ნუგზარ ასათიანი შემორჩა. ნახევარფინალში ვეტროვი ალანაკიანს დაუწყვილდა, ხოლო ასათიანი — მოსკოველ რაკიტას. გულშემატკივრებიც და მით უფრო სპეციალისტებიც კარგად ხვდებოდნენ, რომ თასის მფლობელი სწორედ მეორე წყვილში გამარჯვებული უნდა გამზღარიყო და მოუთმენლად ელოდნენ მათ ორთაბრძოლას. ასათიანი მოსკოველ რაკიტაზე ერთი



საბჭოთა
მოფარისავეები რომში.
მარცხნიდან პირველი —
გურამ კოსტავა,
მეორე —
ნუგ ზარ ასათიანი.
1960 წელი



ნუგ ზარ ასათიანი და
ევგენი ჩერებოვსკი.
რომი, 1960 წელი





ნლით უფროსი იყო. ახალგაზრდა ესპადრონისტებს საერთაშორისო არენაზე დიდი ტიტულები ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მოპოვებული, თუმცა ორივენი ნიჭიერ ოსტატებად ითვლებოდნენ.

პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში ვეტროვმა საკმაოდ დამაჯერებლად (10:6) დაამარცხა ალანაკიანი. წინ იყო ასათიანისა და რაკიტას ბრძოლა. მოსკოველმა მოფარიკავემ თავიდანვე ფრთხილად დაიწყო ასპარეზობა, ასათიანი კი პირიქით, სწრაფ ტემპში უტევდა, მსუბუქად მოძრაობდა ბილიკზე და ანგარიშიც თანდათან მასპინძლის სასარგებლოდ იზრდებოდა. 10:7 — საბოლოოდ ასეთი ანგარიშით გაიმარჯვა ქართველმა ესპადრონისტმა და ფინალში გავიდა, სადაც მას ვეტროვი ელოდა.

ფინალი მწვავე და სანახაობრივად ლამაზი გამოდგა. მეტოქეები ერთმანეთს არც ზოგავდნენ და არც უფრთხოდნენ. მსაჯებმა ამ შეხვედრაში შვიდი ერთდროული შეტევა დააფიქსირეს, თუმცა ინიციატივას მაინც ქართველი მოფარიკავე ფლობდა. საოცარი რეაქციის წყალობით, იგი წამის მეათედით ასწრებდა მეტოქეს. ასათიანმა 10:6 დაამარცხა ვეტროვი და საბჭოთა კავშირის თასს დაეუფლა. საბოლოოდ, ოთხი დისციპლინიდან სამში ქართველებმა იმარჯვეს, რაც, რასაკვირველია, დიდი მიღწევა იყო.

ესპადრონის ნათლობა

1960 წელს ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციამ ესპადრონს სახელი შეუცვალა და მას ამიერიდან „ხმალი“ ეწოდება, თუმცა ძველი გვარდიის მუშავეტერები თავიანთ საყვარელ იარაღს მაინც „ესპადრონად“ მოიხსენიებდნენ. მსოფლიო ესპადრონის დიდი მაესტრო ეჟი პავლოვსკი 1961 წლის აპრილში ენვია ჩვენს დედაქალაქს, როდესაც სამატჩო შეხვედრის ჩასატარებლად საქართველოში საპასუხო ვიზიტით ჩამოვიდა პოლონეთის მოფარიკავეთა დელეგაცია. პავლოვსკისთან ერთად, პოლონელებს გუნდში ჰყავდათ მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ანჟე პიონტიკოვსკიც, დაშნაში კი სტუმრები ევროპის თასის მფოლობელების სტატუსით გვეწვივნენ. ეს პრესტიული პრიზი სწორედ 1960 წელს დაწესდა საფრანგეთის, უნგრეთის, იტალიისა და გერმანიის ფედერაციუ-



ლი რესპუბლიკის ფარიკაობის ფედერაციების ინიციატივით. პირველი გა-
თამაშება დასავლეთ გერმანიის ქალაქ ჰაიდენჰეიმში ჩატარდა და ვარშავის
„ლეგიის“ „გამარჯვებით დასრულდა. ტიტულიან მეტოქეებს ტოლი არ და-
უდო გურამ კოსტავამ. მან პირად პირველობაში თერთმეტიდან ათი ბრძო-
ლა მოიგო და კვარცხლბეჭერის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.


უფრო დაძაბული გამოდგა ესპადრონისტთა ტურნირი. წინასწარ შექ-
ვედრებში მარცხს ვერ გადაურჩა თვით ეჟი პავლოვსკი. ფინალში მასთან
ერთად მოხვდნენ ნუგზარ ასათიანი, მორის სახვაძე და ანჟეი პიონტკოვ-
სკი. გადამწყვეტი შეხვედრები სტუმარ-მასპინძლების ფავორიტების —
პავლოვსკისა და ასათიანის ორთაბრძოლით დაიწყო. პირველმა იერიში
ქართველმა მუშკეტერმა მიიტანა, მაგრამ პოლონელმა მოიგერია შეტევა
და თავად მიაყენა დარტყმა. სამაგიეროდ, ასათიანის მომდევნო ვარდნა გა-
მოდგა შედეგიანი და ანგარიში გათანაბრდა — 1:1. ეს პაექრობა ტურნი-
რის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ორთაბრძოლა გამოდგა. საბოლოოდ, ქარ-
თველმა ესპადრონისტმა 5:2 მოიგო, შემდეგ კი ერთხაირი ანგარიშით (5:4)
აჯობა პიონტკოვსკისა და სახვაძეს და პირველობაც დაისაკუთრა.

გუნდური ასპარეზობების შემდეგ, როდესაც ტურნირის საბოლოო შედე-
გები შეაჯამეს, ქართველ მოფარიკავეებს პოლონელებზე ერთი მოგებით მე-
ტი აღმოაჩნდათ და სამატჩო შეხვედრაც მათი გამარჯვებით დასრულდა.

* * *

რომის ოლიმპიადის შემდეგ, 1961 წლის მსოფლიო ჩემპიონატს კვლავ
იტალიამ, ამჯერად ტურინმა უმასპინძლა. საბჭოთა კავშირის მთავარი
გუნდისთვის კანდიდატების შესარჩევად ბოლო გენერალური რეპეტიცია
ლენინგრადში მოეწყო. სწორედ ნევისპირა ქალაქის ზამთრის სტადიონის
საფარიკაო ბილიკებზე უნდა გარკვეულიყო ის ხუთეულები, რომლებიც
მსოფლიო ჩემპიონატის საგზურებს მიიღებდნენ.

საკავშირო თასის ბოლო გათამაშებაში ქართული ტრიოს (ასათიანი,
კოსტავა, ოსიპოვი) წარმატება ზოგმა სპეციალისტმა შემთხვევითობას
მიაწერა, ამიტომაც საბჭოთა კავშირის XXIV ჩემპიონატს ბევრ კითხვაზე
უნდა გაეცა პასუხი. რაპირისტთა ტურნირში ძლიერმა შემადგენლობამ



ნუკზარ ასათიანი და
გურამ ლორთქიფანიძე



მოიყარა თავი. მონაწილეთა შორის იყვნენ რომის ოლიმპიადის ჩემპიონი ვიქტორ უდანოვიჩი, მსოფლიოს ჩემპიონი იური რუდოვი, ოლიმპიური თა-მაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონი იური სისიკინი. ასეთ კამპანიაში ფინალში შეღწევა უდავოდ რთული საქმე იყო, მაგრამ თბილისელი იური ოსიპოვი რვა საუკეთესოს შორის მაინც მოხვდა, საბოლოოდ კი მეექვსე ადგილი და-იყავა. მსაჯების ტრიუმფიურობა რომ არა, ოსიპოვი პრიზიორთა რიგებშიც მოხვდებოდა.

სტური მოფარიკავეთა პირად პირველობაში 80-მდე სპორტსმენი ჩაე-ბა. შეჯიბრება დილაადრიან დაიწყო და ლამის ორ საათამდე გაგრძელდა. ფინალამდე სპორტსმენებს 30-მდე ორთაბრძოლის ჩატარება მოუწიათ და ბევრმა ვერ გაუძლო ამ მარათონს. ასპარეზობას მეოთხედფინალიდან გა-მოეთიშა საბჭოთა კავშირის ხუთგზისა და მსოფლიოს ჩემპიონი, მოსკოვე-ლი იაკობ რილსკი. ნახევარფინალში ვერ გავიდა მორის სახვაძეც და ჩვენე-ბურთაგან ტურნირს მხოლოდ ნუგზარ ასათიანი შემორჩა. ფინალამდე იგი უდანაკარგოდ მივიდა.

რვა საუკეთესო ფინალისტს შორის ყველაზე გამოცდილი იყო სპორ-ტის დამსახურებული ოსტატი, 31 წლის ლევ კუზნეცოვი. მოსკოველი არმი-ელი ჯერ კიდევ 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა. შემდეგ მელბურნში გუნდური ბრინჯაო მოიპოვა და მსოფლიოს ჩემპი-ონატებზეც მრავალჯერ დაეუფლა საპრიზო ადგილებს. ეს ის კუზნეცოვია, რომელიც ერთი წლით ადრე, სარატოვის საკავშირო ჩემპიონატზე რომის ოლიმპიურ საგზურს ეცილებოდა ასათიანს.

და აი, საკავშირო ჩემპიონატის ფინალში მათი გზები კვლავ გადაიკ-ვეთა. გამოცდილებამ თავისი გაიტანა და კუზნეცოვმა იმარჯვა. ამ დრო-ისთვის ნუგზარ ასათიანს ოთხი გამარჯვება და ორი ნაგება დაუგროვდა. თავის მხრივ ორი შეხვედრა ნააგო კუზნეცოვმა — მას თანაგუნდელებმა მავლიხანოვმა და ლეიტმანმა სტურის, თუმცა ხუთი გამარჯვებით მოსკო-ველი ლიდერობდა. ჩასატარებელი დარჩა ერთადერთი ბრძოლა ასათიანსა და კიდევ ერთ მოსკოველს, მარკ რაკიტას შორის. გამარჯვების შემთხვე-ვაში, ჩვენებური მოგებებით გაუთანაბრდებოდა ლიდერს და მათ შორის დამატებითი შეხვედრა დაინიშნებოდა, ანუ ოქროს მედლის მოსაპოვებლად ნუგზარ ასათიანს გადამწყვეტ ორივე ბრძოლაში უნდა ემარჯვა.

ასათიანმა რაკიტას იოლად აჯობა და კვლავ კუზნეცოვის პირისპირ დადგა. საჩემპიონო შეხვედრაში თავიდანვე ასათიანი დაწინაურდა, ერთ მომენტში 4:0-ს იგებდა, მერე კუზნეცოვი გააქციურდა, მაგრამ ჩვენმა მუშა-კეტერმა კვლავ შეუტია და გაიმარჯვა — 5:3. ნუგზარ ასათიანმა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ოქროს მედალი მოიპოვა პირად შეჯიბრებაში.

დაშნაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა გურამ კოსტავამაც, რომელმაც დამაჯერებლად, კლასიკურ სტილში ჩაატარა მთელი შეჯიბრება: „ფარიკაობის ისტორიაში ჩეხება მხოლოდ დაუვინცარი შეხვედრები. ერთ-ერთი ასეთია კოსტავას ორთაბრძოლა ყაზანელ ვალე-რი ბაზარევიჩთან. მან დაამარცხა ალიარებული კონკურენტები და გურამ კოსტავასთან ერთად ყველაზე ახლოს იყო სანუკვარ მიზანთან. არასოდეს მინახავს კოსტავა ასეთი გამძვინვარებული. მეტისმეტმა მონდომებამ მას ცუდი სამსახური გაუნია. გურამი იბრძოდა შებოჭილად, უხერხულად ას-რულებდა საყვარელ ილეთებს. 4:2 — ბაზარევიჩის სასარგებლოდ. ბაზარე-ვიჩს ჩემპიონის ოქროს მედლისგან ერთი ჩხველეტალა აშორებდა. კოსტავამ მოისხსნა მუზარადი. მისი თვალები უჩვეულოდ ელავდნენ, შუბლი ოფლის წვეთებს დაეცვარა. ჩვენსკენ გამოიხედა და უხერხულად გაიღია. რა უნდა გვეთქვა მისთვის? გურამი თვითონ უნდა გამოისულიყო უიმედო მდგომა-რეობიდან. რამდენიმე წამის შესვენებამ დადებითად იმოქმედა გურამზე. იგი სავსებით გარდაიქმნა. ასეთი კოსტავას წინააღმდეგ ბრძოლა ბაზარე-ვიჩის ძალებს აღემატებოდა. ანგარიში ჯერ გათანაბრდა, ხოლო შემდეგ მაყურებელმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვა გამარჯვებული ქართველი“ (ნუგზარ ასათიანი, „მოფარიკავის ჩანაწერები.“ 1974).

ორივე ქართველი ჩემპიონი — ნუგზარ ასათიანი და გურამ კოსტავა სსრკ ნაკრებთან ერთად ტურინის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებას შეუდგა. კოსტავამ სწორედ ტურინში მოიპოვა პლანეტის გუნდური ჩემ-პიონის პირველი ტიტული და განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ამ დიდ გამარჯვებაში. კოსტავამ ტურინში 22 ბრძოლიდან მხოლოდ ერთი დათმო, ფინალში კი საჩემპიონო ბრძოლა ანგარიშით 5:1 მოუგო საფრანგეთის ნაკ-რების ლიდერს, მსოფლიოს ჩემპიონს ა. მუიალის.

ტურინის მსოფლიოს ჩემპიონატის დასკვნით დღეს ესპადრონის ოს-ტატთა გუნდური პირველობა გაიმართა. საბჭოთა ხუთეულში შევიდნენ



ასათიანი, რილსკი, კუზნეცოვი, ჩერეპოვსკი და ჟიტნი. ნუგზარ ასათიანისთვის, ისევე როგორც ჟიტნისთვის, ეს იყო სადებიუტო მსოფლიოს ჩემპიონატი, კუზნეცოვი, რილსკი და ჩერეპოვსკი კი უკვე ფლობდნენ მსოფლიოს ჩემპიონატების სხვადასხვა ხარისხის მედლებს. მათ შორის ყველაზე ტიტულიანი იყო რილსკი, რომელმაც ტურინში მეორედ გაიმარჯვა პირად ტურინში.

ჩემპიონატის ფავორიტებად, ტრადიციულად, უნგრეთის და პოლონეთის ესპადრონისტები ითვლებოდნენ. საკუთარი კედლების იმედი ჰქონდათ მასპინძლებს, მედლებს უმიზნებდნენ საბჭოთა ესპადრონისტებიც. ასათიანმა და მისმა თანაგუნდელებმა ფინალამდე ყველა შეხვედრა ჩინებულად ჩატარეს და ოქროს მედლებისთვის პოლონეთის ნაკრებს დაუპირისპირდნენ. პოლონელთაგან ტიტულები არც ერთს არ აკლდა, ბუდაპეშტის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მათ მთლიანად შეინარჩუნეს გუნდი: ეში პავლოვსკი, ვოიცექ ზაბლოცკი, ემილ ოხირა და რიშარდ ზუბი, ეს ის კვარტეტი იყო, ვინაც ხანგრძლივი დროით მოვიდა მსოფლიოს ესპადრონის სათავეში. გადამწყვეტი შეხვედრა პოლონელებმა სოლიდური უპირატესობით (9:5) მოიგეს და ოქროს მედლები მიიღეს. საბჭოთა გუნდს, მათ შორის ნუგზარ ასათიანს, ვერცხლის ჯილდო ერგო.

პიევიდან გდანსკამდე

მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი 1962 წლის ზაფხულში ბუენოს-აირესში ტარდებოდა, მანამდე (მარტის ბოლოს) კი კიევში საკავშირო ჩემპიონატი გაიმართა. ნუგზარ ასათიანმა ვერცხლის მედალი მოიპოვა და არგენტინის საგზურიც გაინაღდა. უკრაინის დედაქალაქში მეორე ადგილი დაიკავა იური ოსიპოვმაც, მაგრამ იგი სანაკრებო შემადგენლობაში ვერ მოხვდა. მიუხედავად იმისა, რომ სეზონის შედეგების მიხედვით საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა, თბილისელი რაპირისტი შინ გამოუშვეს. მიზეზი იყო საბჭოთა რაპირისტთა ნაკრების უფროს მწვრთნელთან, ივან მანაენკოსთან შემდგარი საუბარი. მანაენკომ ოსიპოვის მოსკოვში გადაბირება მოისურვა, რა არ შეპირდა, მაგრამ თავაზიანი უარი მიიღო. ამის შემდეგ ნაკრების


მწვრთნელმა თბილისელი რაპირისტი აითვალწუნა და მთავარი შეჯიბრებების მიღმა დატოვა.

იური ოსიპოვი: „მარტო მე არ მექცეოდნენ ასე. როდესაც არჩევანი ქართველსა და, ვთქვათ, მოსკოველს შორის უნდა გაეკეთებინათ, ამ უკანასკნელს ანიჭებდნენ უპირატესობას და მათ უქმნიდნენ ხელსაყრელ პირობებს. იმავე კიევის საკავშირო ჩემპიონატზე ესპადრონისტთა ფინალი დამის თორმეტ საათამდე გაგრძელდა, ყველა დაიღალა. ნუგზარ ასათიანს მორიგი შეხვედრა წესიერად დამთავრებული არც ჰქონდა, რომ იაკობ რილსკისთან საბრძოლველად უხმეს. წესით, სამი წუთით დასვენება ეკუთვნოდა, მსაჯებმა კი არ დააცადეს. მახსოვს, ნუგზარი გაუნძრევლად იჯდა, არბიტრები კი ლამის თავზე ედგნენ და ბილიკზე უხმობდნენ. ნუგზარი ადგილიდან არ იძროდა, ხოლო როდესაც მსაჯები საჯარიმო ქულით დაემუქრნენ, მიკროფონი მოითხოვა და ხმამაღლა გამოაცხადა:

— უსალ, თქვენი დედაც ვატიირ!

ჩვენ სიცილი აგვიტყდა. ორგანიზატორებმა ქართული რომ ვერ გაიგეს, რა თქიო — ეკითხებოდნენ. ნუგზარმაც გაუმჟორა. . . ის ორთაბრძოლა ასათიანმა მოიგო და არგენტინის საგზურიც გაინალდა. ბუენოს-აირესიდან მან მსოფლიოს ჩემპიონატის კიდევ ერთი მედალი ჩამოიტანა, ამჯერად გუნდური ბრინჯაო.

ის სეზონი ნუგზარ ასათიანმა გამარჯვებით დაასრულა — ახალი წლის წინა დღეებში საბჭოთა კავშირის თასი მეორედ მოიპოვა. მანამდე ეს საპატიო პრიზი ორჯერ არავის მოუგია. ასათიანმა თასი ტიტულიან და ღირსეულ მეტოქებთან ორთაბრძოლებში დაიმსახურა. მათგან ყველაზე გამოცდილი იყო მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და იური ოსიპოვის ძველი „მეგობრის“, ივან მანაენკოს შეგირდი იაკობ რილსკი. იმ პერიოდში რილსკი საბჭოთა ფარიკაობის ლეგენდად ითვლებოდა. იგი უკვე ქვეყნის ჩემპიონის ხუთტიტულს ფლობდა, მოგვიანებით კი ოლიმპიური ჩემპიონიც გახდა. რილსკი საფარიკაო ბილიკებზეც და ცხოვრებაშიც ნამდვილი ჯენტლმენი იყო. ისე მოხდა, რომ 1962 წელს ასათიანმა რილსკის ორივე ბრძოლა მოუგო: ჯერ საკავშირო ჩემპიონატზე, მერე — თასის გათამაშებაში. მათი სათასო შეხვედრა მეოთხედფინალურ ეტაპზე შედგა. ასათიანმა 10:2 აჯობა მეტოქეს, ამ ანგარიშით კი რილსკი არასოდეს დამარცხებულა.



თბილისელმა მუშკეტერმა არც საბჭოთა არმიის ოფიცერი მარკ რაკიტა დატოვა „უყურადღებოდ“. თასის გათამაშების სტარტზე მისი პირველი მსხვერპლი სწორედ რაკიტა გახდა. ასათიანმა დამაჯერებელი რევანში აიღო უკრანის დედაქალაქში მარცხისთვის. ნახევარფინალში კიდევ ერთი სტაუიანი კონკურენტი, მოსკოველი კუზნეცოვი ჩამოიცილა გზიდან, ხოლო ფინალში ასევე მოსკოველ ხარხალუპთან მძიმე ბრძოლაში 10:8 იმარჯვა.

ნუგზარ ასათიანი,
არჩილ გოგელია და
მორის სახვაძე.
1960 წელი

* * *

1963 წლის მთავარი შეჯიბრების — მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა პოლონეთს დაეკისრა. გდანსკი გულმოდგინედ ემზადებოდა პლანეტის უძლიერესი მუშკეტერების მისაღებად. მონდომებით ემზადებოდ-

ნენ თავად სპორტსმენებიც. მსოფლიოს ჩემპიონატამდე რამდენიმე თვით ადრე საბჭოთა ესპადრონისტები ვარშავაში გაემგზავრნენ, სადაც ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი — „ვოლოდიევსკის ხმლის“ გათამაშება ჩატარდა. ამ ასპარეზობას მსოფლიოს მცირე ჩემპიონატსაც უწოდებდნენ. საბჭოელებთან ერთად ტურნირში მონაწილეობდნენ უნგრეთის, გდრ-ის, იტალიისა და მასპინძელთა მუშკეტერები. გუნდურ ტურნირში საბჭოთა ესპადრონისტები უნგრელებთან დამარცხდნენ — 6:10. ნუგზარ ასათიან-მა, რომელიც საუკეთესო გუნდურ მებრძოლად ითვლებოდა, ოთხივე შეხვედრა მოიგო.

ამასობაში მოახლოვდა მსოფლიოს ჩემპიონატი. ბოლო სამი წელი ქვეყნის მთვარი გუნდის შემადგენლობა არ შეცვლილა და მწვრთნელებ-საც სტაბილური ნაკრების გამარჯვება ეიმედებოდათ. ასათიანი, ჟიტნი, მავლიიანოვი, რაკიტა და რილსკი. რომის ოლიმპიადის შემდეგ, ტურინის მსოფლიოს ჩემპიონატზე ამ გუნდმა ვერცხლის მედლები მოიპოვა, წინ მხოლოდ პოლონელები გაუშვა; ბუენოს-აირესში საბჭოელებს უნგრელებ-მაც აჯობეს და მესამე ადგილს დასჯერდნენ...

გდანსკის მსოფლიოს ჩემპიონატი პირადი შეჯიბრებით დაიწყო. შესანიშნავად გამოვიდა იაკობ რილსკი, რომელმაც თვით ეჟი პავლოვსკი დაამარცხა და ოქროს მედალი დაისაუთრა. ამ წარმატებამ კიდევ უფრო გაამყარა გუნდური გამარჯვების იმედი. გუნდური პირველობის ფინალში საბჭოთა და პოლონელი ხმლით მოფარიკავები გავიდნენ. მასპინძლებს უძლიერესი ნაკრები ჰყავდათ: ზუბი, ოხირა, პავლოვსკი, პიონტკოვსკი. მათ ზედიზედ სამჯერ მოიგეს მსოფლიოს ჩემპიონატი და პოზიციების დათმობას, ცხადისა, არც საკუთარ კედლებში აპირებდნენ.

ფინალი უაღრესად საინტერესო და დაძაბული გამოდგა. უპირატესობის მოპოვება ვერც ერთმა მხარემ ვერ შესძლო. მატჩი ფრედ — 8:8 დასრულდა. დებულების თანახმად, მსაჯებმა ჩხვლეტების რაოდენობა დაითვალის და ისიც თანაბარი აღმოჩნდა, რაც ამ რანგის ტურნირებში იშვიათად ხდება. გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი ორთაბრძოლა დაინიშნა, რომელშიც თითოეულ გუნდს თავისი სუკეთესო მუშკეტერი უნდა გამოეყვანა. პოლონელებმა თავიანთი ბედი მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს ეჟი პავლოვსკის ანდეს, საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელები კი



დიდხანს ბჭობდნენ და ბოლოს, როგორც იქნა, არჩევანი უმარ მავლიხანოვზე შეაჩერეს. ეს დუელი ეყი პავლოვსკიმ პირნმინდად მოიგო — 5:0 და პოლონეთის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა. საბჭოთა ესპადრონისტებს, მათ შორის ნუგზარ ასათიანს, ვერცხლის მედლები ერგოთ.

მსოფლიოს ამ ჩემპიონატში კიდევ ერთი ჯილდო გურამ კოსტავამ დაისაკუთრა. დაშნის ოსტატთა პირად ტურნირში 80-მდე მუშკეტერი ჩაეძა. მეორე წრეში მსოფლიოს ჩემპიონის უფლებამოსილება ჩამოართვეს უნგრელ კაუსს, ვისაც თავისი პირველი ტიტული ჯერ კიდევ 1959 წელს ჰქონდა მოპოვებული. ასპარეზობას გამოიეთიშა კიდევ ერთი ფავორიტი, კაუსის თანაგუნდელი და გუნდური ოქროს მედალოსანი ბარანი. მეოთხედფინალიდან უკვე ნამდვილი გაცხრილვა დაიწყო. ტურნირს ზედიზედ სამი მსოფლიოს ჩემპიონი გამოაკლდა: ბრიტანელი ჰოსკინსი, ფრანგი მუიალი და საბჭოელი ხაბაროვი. კოსტავას გარდა, საკავშირო ნაკრების დანარჩენმა წევრებმაც ტრიბუნებზე გადაინაცვლეს. კოსტავამ მსოფლიოს ჩემპიონატების ორგზის პრიზიორს, უნგრელ გაბორტს აჯობა, შემდეგ 1961 წლის მსოფლიოს ჩემპიონს, ფრანგ გიტესაც მოუგო და ფინალში გავიდა. აქ მისი მეტოქები იყვნენ ავსტრიელი ლოზერტი, ფრანგი დრეიფუსი და იტალიელი საკარო. საბოლოოდ, კოსტავამ პირადი პირველობის ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა, ჩემპიონი კი ავსტრიელი ლოზერტი გახდა.

ოლიმპიადის რეიტინგი

გდანსკის მსოფლიოს ჩემპიონატი სულ რაღაც ათი დღის დასრულებული იყო, როცა მოსკოვში სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადა დაიწყო. სპარტაკიადები ქვეყნის ყველაზე გრანდიოზულ და პრესტიულ შეჯიბრებად ითვლებოდა, ტრადიციულად ოლიმპიური თამაშების წინ იმართებოდა და სხვადასხვა ნაკრებებისთვის კანდიდატების შესარჩევ გენერალურ რეპეტიციად იყო მიჩნეული. ამასთან, მოკავშირე რესპუბლიკების პატივმოყვარე პარტიული ლიდერები აქ მოპოვებული შედეგებით განსაკუთრებით იწონებდნენ თავს. პირველები, ანუ უძლიერესები,



სსრ კავშირის ჩემპიონი —
სპორტსაზოგადოება
„დინამოს“ გუნდი.
მარცხნიდან:
იაკობ რილსკი,
მორის სახვაძე,
ვასილ არდერიშინი და
ნუგზარ ასათიანი.
მინსკი, 1964 წელი



როგორც წესი, მოსკოვის ან რუსეთის ფედერაციის გუნდები უნდა ყოფილიყვნენ. კრემლის მამები იშვიათად, ისიც ცალკეულ სახეობებში თუ დაუთმობდნენ პირველობას უკრაინას ან რიცხვობით მესამე რესპუბლიკას — ბელორუსიას. აქამდელ სპარტაკიადებზე საქართველოს მოფარიკავები არც ერთ იარაღში საპრიზო სამეულში არ ყოფილან. ამიტომაც ბევრისთვის მოულოდნელი იყო, როდესაც ჩვენმა ესპადრონისტებმა უკან ჩამოიტოვეს უკრაინისა და ლენინგრადის ძლიერი გუნდები და ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს. მაშინ საქართველოს ლირსებს იცავდნენ ნუგზარ ასათიანი, მორის სახვაძე, არჩილ გოგელია და გურამ ლორთქიფანიძე. ეს უკანასკნელი, მართალია, უკვე ფლობდა ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს საუკეთესო ესპადრონისტის ტიტულს, თუმცა უფროს ოსტატებთან ერთად პირველად გამოდიოდა რესპუბლიკის ნაკრებში. გდანსკის მსოფლიოს ჩემპიონატიდან ვერცხლის მედლით დაბრუნებული ასათიანი ამ ნაკრებს მოსკოვში შეუერთდა: „ჩინებულ ფირმაში იყო მორის სახვაძე. მას არც გუნდის სხვა წევრები ჩამოუვარდებოდნენ. საკმაოდ აემაღლებინათ ოსტატობა გურამ ლორთქიფანიძეს და აჩიკო გოგელიას. ამ ორ ჭაბუკთან შედარებით, მე და მორისი ბერძებად ვითვლებოდით და, ბუნებრივია, მეტი გამოცდილებაც გვქონდა. ჩვენი შედარებით ახალგაზრდა თანაგუნდელების მხარეზე იყო ენთუზიაზმი, თავის გამოჩენის სურვილი...ჩვენმა გუნდმა სპარტაკიადის ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. ამ ნარმატებაში თავისი წვლილი შეიტანა კოლექტივის თითოეულმა წევრმა. ქართულ პრესაში ჩვენ „ბრინჯაოს ოთხეული“ გვინოდეს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სპარტაკიადის მოფარიკავეთა ტურნირი არც ერთ საერთაშორისო შეჯიბრებას არ ჩამოუვარდებოდა, ხოლო მეტოქეთა გუნდებში გამოდიოდნენ მსოფლიოში აღიარებული ოსტატები, მაშინ გასაგები გახდება, თუ რატომ იყო ჩვენთვის ასერიგად საამაყო მესამე ადგილი“ (ნუგზარ ასათიანი, „მოფარიკავის ჩანაწერები.“ 1974).

იმავე სპარტაკიადაზე მესამე ადგილი დაიკავა საქართველოს მოფარიკავე ქალთა ნაკრებმაც. ჩვენს გუნდში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჯულიეტა გიორგაძე — პირველი სპორტის ოსტატი ქართველ მოფარიკავე ქალთა შორის, რომელიც სსრ კაგშირის ნაკრებშიც იყო შეყვანილი. პირად პირველობაში ბრინჯაოს მედალს დაეუფლა იური ოსიპოვი.

* * *

ესპადრონის ქართული სკოლის გამარჯვებით დასრულდა სეზონის ბოლოს გამართული საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება, რომელიც ლენინგრადში ჩატარდა. ნუგზარ ასთიანის შემდეგ, პრესტიჟულ პრიზს ამ-ჯერად მორის სახვაძე დაეუფლა. არადა, სწორედ იმ სეზონში სახვაძე არაპერსპექტიულ სპორტსმენად ჩატვალეს და საკავშირო სტიპენდიაც მოუხსნეს. ნევისპირა ქალაქში მოპოვებული თასი ქვეყნის მთავარი გუნდის ხელმძღვანელთათვის კარგი ალიყური იყო, ხოლო ქართველი მუშკეტერისთვის — საბჭოთა ნაკრებში დამკვიდრების რეალური შანსი. თუმცა, ნაკრების კანდიდატებს, მათ შორის ქართველ მოფარიკავეებს, ხანგრძლივი ბრძოლა ელოდათ ტოკიოს საგზურების მოსაპოვებლად და თითოეულ მათგანს დამოუკიდებლად უნდა გაეკვლია გზა მრავალრიცხოვან კონკურენტს შორის.

ოლიმპიური წლის სპორტული სეზონი დაშნის ოსტატებმა გახსნეს. საბჭოთა ნაკრებმა, რომლის რიგებში გურამ კოსტავაც გამოდიოდა, სამატჩი შეხვედრა გამართა მსოფლიოს ექს-ჩემპიონ საფრანგეთის გუნდთან და დიდი ანგარიშით გაიმარჯვა — 10:4.

კოსტავამ მეტოქეებს არც კრაკოვში გამართულ „ბარბაკანის თასის“ გათამაშებაზე დაუდო ტოლი. მან მასპინძლების — უძლიერესი პოლონელი მოფარიკავეების გარდა, ტიტულიან თანაგუნდელებს, მსოფლიოს ჩემპიონებს, ხაბაროვსა და ლიულინსაც სძლია და ტურნირის მთავარი პრიზი დაისაკუთრა.

ოლიმპიადისთვის ემზადებოდნენ ესპადრონისტებიც. მარტის ბოლოს მინსკში მოეწყო ბელორუსის, საქართველოს, უკრაინისა და ლენინგრადის მუშკეტერთა შეხვედრა. ნინასნარი ორთაბრძოლების შემდეგ, ფინალურ ოთხეულში გავიდნენ ასათიანი, მელნიკოვი, ჩერეპოვსკი და მოდიაევი. ფინალი წრიული სისტემებით გაიმართა, თუმცა ძალები თანაბარი აღმოჩნდა და გამარჯვებული ვერ გამოვლინდა. განმეორებით ორთაბრძოლებში ასათიანის უპირატესობა უკვე აშკარა იყო და პირველობაც მან მოიპოვა.

რამდენიმე თვეში მინსკში უკვე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატს უმასპინძლა. ბელორუსის ფიზკულტურის ინსტიტუტის დარბაზში საბჭოეთის 400-მდე მოფარიკავე შეიკრიბა. ტრადიციისამებრ, ასპარეზობა რაპირის-



ტებმა გახსნეს. 45 მონაწილეს შორის იური ოსიპოვიც იყო. მარათონული დისტანცია დილიდან, წინასწარი შეხვედრებით დაიწყო, ფინალური ორ-თაბრძოლები კი შუალამით დასრულდა. ოსიპოვი ტურნირს ნახევარფინალიდან გამოეთიშა, ძნელ ბრძოლაში მან 3:5 წააგო მინსკელ ვლადიმირ იუფეროვთან, რომელიც საბოლოოდ ვერცხლის მედალს დაეუფლა, ჩემპიონი კი სარატოველი იური შაროვი გახდა.

ეს შეჯიბრება ბოლო გამოდგა 27 წლის იური ოსიპოვისთვის — მან საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის რანგში დაასრულა თავისი სპორტული კარიერა. მინსკის საკავშირო ჩემპიონატიდან ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაპრუნდა მორის სახვაძე, თუმცა ტოკიოს ოლიმპიადის საგზური არც მას ერგო. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატამდე მორის სახვაძეს მეტოქები სერიოზულ კონკურენტად არც მიიჩნევდნენ. ფავორიტებად იაკობ რილსკი, უმარ მავლიხანოვი, მარკ რაკიტა და ნუგზარ ასათიანი ითვლებოდნენ. ამ ოთხეულს ოლიმპიურ გუნდში ადგილი თითქმის გარანტირებული ჰქონდა. დარჩენილი იყო მხოლოდ ერთი ვაკანსია და ამ ადგილზე პრეტენზია სწორედ მორის სახვაძემ განაცხადა. სახვაძემ და ასათიანმა დამაჯერებლად ჩაატარეს წინასწარი და მეოთხედფინალური შეხვედრები და მომდევნო ეტაპზე გავიდნენ. უდანაკლისოდ იბრძოდა გასული სეზონის მსოფლიო კლასიფიკაციის 1 ესპადრონისტი იაკობ რილსკიც. ფავორიტებიდან პირველს ხელი მოეცარა საბჭოთა კავშირის იმუამინდელ ჩემპიონს უმარ მავლიხანოვს, თუმცა სამი წაგების მიუხედავად, ფინალურ ჯგუფში მაინც გავიდა. კიდევ უფრო რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა მარკ რაკიტა. ის ჯერ ჟიტნისთან დამარცხდა, შემდეგ — ასათიანთან (4:5), ბოლოს კი მელნიკოვთანაც წააგო.

ლიდერებიდან ყველაზე უკეთ ნუგზარ ასათიანი ასპარეზობდა, ელვი-სებური იერიშებით მეტოქებს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა და ზედიზედ იმარჯვებდა. ასათიანთან ერთად ოქროს მედლის მთავარ პრეტენზენტად რჩებოდა უბერებელი იაკობ რილსკი. სწორედ მაშინ გამოჩნდა ავანსცენაზე მორის სახვაძე, რომელიც ტოკიოს ოლიმპიადის საგზურს მხოლოდ ჩემპიონის ტიტულთან ერთად თუ მოიპოვებდა. თბილისელმა მუშეეტერმა თავისი შეუპოვრობითა და აზარტით თითქოს მოაჯადოვა მრავალრიცხოვანი გულშემატკივრები. ფინალში მან ოთხ მეტოქეს სძლია,





ბოლოს კი თავდაცვის დიდოსტატად აღიარებული უიტნიც დაამარცხა და სპეციალისტების პროგნოზები თავდაყირა დააყენა.

ამასობაში სამი შეხვედრა წააგო მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ია-კობ რილსკიმ. საჩემპიონო შანსი მხოლოდ სამ სპორტსმენსღა შემორჩა: ნუგზარ ასათიანს, მორის სახვაძეს და ლენინგრადელ ბორის მელნიკოვს. სამივეს მოგებათა თანაბარი რაოდენობა დაუგროვდა, ამიტომ მათ შორის დამატებითი ორთაბრძოლები დაინიშნა.

ბილიკზე ჯერ სახვაძე და ასათიანი გამოვიდნენ. 5:4 — ასეთი ანგარიშით გაიმარჯვა სახვაძემ. მომდევნო შეხვედრაში ასათიანმა შანსი არ დაუტოვა მელნიკოვს — 5:1. ახლა დარჩენილი იყო სახვაძისა და მელნიკოვის ორთაბრძოლა და თუ წარმატებას ქართველი მიაღწევდა, ოქროს მედალთან ერთად საბჭოთა ოლიმპიურ ნაკრებში ბოლო ვაკანტურ ადგილსაც ის გაინაღდებდა. ამ კრიტიკულ სიტუაციაში წინა პლანზე ფსიქოლოგიური ფაქტორი გამოდის. უფრო მტკიცე ნერვები ნევისპირელს აღმოაჩნდა და მინიმალური სხვაობით (5:4) გაიმარჯვა.

მეტოქებს კვლავ მოგებათა თანაბარი რაოდენობა დაუგროვდათ და კიდევ ერთი დამატებითი რაუნდი დაინიშნა. სახვაძემ განმეორებითაც 5:4 მოუგო ასათიანს, მაგრამ შემდეგ ორივემ წააგო მელნიკოვთან და ეს უკანასკნელი ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. სახვაძეს ვერცხლის მედალი ერგო, ასათიანს — ბრინჯაოსი.

ნუგზარ ასათიანმა და მორის სახვაძემ სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები მაინც მოიპოვეს, ოლონდ — გუნდურ შეჯიბრებაში, „დინამოს“ ნაკრებთან ერთად. დასანანი ის არის, რომ, სახვაძე თავისი ოქრო-ვერცხლით ტოკიოს ნაცელად თბილისში გამოემგზავრა.

„დასანანია, რომ მორის სახვაძე, რომელიც საუკეთესო ფორმაში იყო და ჩემპიონატის ფავორიტადაც ითვლებოდა, ტოკიოს ოლიმპიადის მიღმა დარჩა. მინსკში მან სამივე შეხვედრაში დამჯაბნა. დღემდე ბევრს ჰგონია, თითქოს მორისთან მთელი ძალით არ ვიბრძოდი. ეს, რა თემა უნდა, მცდარი მოსაზრებაა. უნდა ითქვას, რომ ჩვენ მრავალჯერ შევხვედრივართ ერთმანეთს, მაგრამ ვერავინ დაასახელებს თუნდაც ერთ შეგნებულად დათმობილ ბრძოლას. უბრალოდ, მინსკის ჩემპიონატზე მორისი სხვებზე კარგად იყო მომზადებული, რაც დაადასტურა მისმა ბრწყინვალე გამარჯვებამ რილ-

ნუგზარ ასათიანი:
 „ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი... რამდენჯერ მოუცნებია ამ უდიდეს პატიგზე ბავშვობაში, რა მოუწვდომლად მეჩვენებიდა იგი. ამიტომ ტოკიოს ოლიმპიადა საუკეთესო ფურცელია ჩემს სპორტულ ბიოგრაფიაში.“

სკისთან, რაკიტასთან, მავლიხანოვთან... ასეთ შემთხვევაში, ალბათ, იკით-ხავთ, რა დაემართა მორისს მელნიკოვთან? არსებობენ ეგრეთ წოდებული უხერხული მეტოქეები. ბედი არ გინდა — სპორტულმა ფორტუნამ მინსკში მორისს სწორედ ასეთი მონინააღმდეგე შეახვედრა“ (ნუგზარ ასათიანი, „მოფარიკავის ჩანაწერები.“ 1974).

გადამყვაფი პრძოლა

ნინ იყო ოთხნლეულის უმთავრესი შეჯიბრება — ტოკიოს ოლიმპიური თამაშები. ნუგზარ ასათიანმა მძიმე ბრძოლაში მოიპოვა ოლიმპიადაში გამოსვლის უფლება, მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლები უშუალოდ ტოკიოში ელოდა. აი, როგორ იხსენებდა ნუგზარი იმდროინდელ ემოციებს: „უცნაური გრძნობა დამეუფლა ჩემი სპორტული ბიოგრაფიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენის — ტოკიოს ოლიმპიადის წინ. ჩემს თავს იმაში ვიჭერდი, რომ უფრო მეტს ვფიქრობდი იაპონიის ეგზოტიკური დედაქალაქის შესახებ, ვიდრე მომავალ მეტოქეებზე. ბავშვობაში ნათესავის სახლში შემთხვევით წავანყდი ჯერ კიდევ რევოლუციამდე გამოცემულ, ფერადი ფოტოებით სავსე სქელტანიან უურნალს. მთელი უურნალი იაპონიას ეძღვნებოდა. გამაოცა ტოკიოს ხედებმა. ეს მთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო, რომ სამუდამოდ გამყვა. ბავშვობაში ძველ უურნალში ნანას საოცარ ქალაქთან მომავალი შეხვედრა მოსვენებას არ მაძლევდა. ამაში იყო ბავშვური გულუბრყვილობისა თუ სენტიმენტალობის ელემენტი, რომლის გამჟღავნებაც მონიფულ ასაკში „სერიოზულ“ ადამიანებს რატომდაც რცხვენიათ.“

...ოლიმპიური თამაშების წინ პროგნოზის მოყვარულები ცდილობენ გამოთვალის ფავორიტთა შანსები, მაგრამ პროგნოზები ხშირად არ მართლდება. ამ უმადურ საქმეში მარტო ადამიანები როდი მონაწილეობენ. მაგალითად, იაპონელებმა ელექტროგამომთვლელ მანქანას „დაავალეს“ გამოეცნო მძლეოსნობის ცალკეულ დისციპლინებში სავარაუდო გამარჯვებულთა ვინაობა. მანქანამ 5 მილიონი იპერაცია ჩაატარა და ერთი სწორი პასუხიც ვერ გასცა. პროგნოზები არ გამართლდა სხვა სახეობებშიც და მათ შორის ესპადრონისტთა ოლიმპიურ ტურნირშიც. აქ უდავო ფავორიტებად



უნგრელები ითვლებოდნენ, რომლებსაც ოლიმპიურ თამაშებში აგერ უკვე 36 წელია ტოლი არ ჰყავდათ, მაგრამ ტოკიოში მაღიარები მეორე წრეში 7:9 და-მარცხდნენ იტალიელებთან და საბოლოოდ მეხუთე ადგილს დასჯერდნენ. ამ მატჩის გმირი იყო 23 წლის ჩეზარე სალვადორე. მან ოთხივე უნგრელს სძლია, მათ შორის — პირად პირველობაში გამარჯვებულ ტიბორ პეჟას.

ნუგზარ ასათიანი: „საოცარი რამ არის ოლიმპიური თამაშები. იგი თავისი ხასიათით არც ერთ სხვა შეჯიბრებას არ ჰყავს. დიდი პატივია უკვე თვით ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლება, რომ არაფერი ვთქვათ გამარჯვებაზე. ჩვენ ტოკიოში მხოლოდ ოლიმპიადის ოქროს მედლებისთვის ჩავედით. არც ვმალავდით ამ სურვილს. თავმდაბლობა კარგია, მაგრამ თავი არც სხვას უნდა დააჩაგვრინო. ასეთივე პრეტენზია ჰქონდათ, და არცთუ უსაფუძლოდ, პოლონელ და უნგრელ ხმლით მოფარიკავეებსაც. ეს იყო გაუგონარი დაძაბულობისა და მძაფრი კონკურენციით აღსავსე ტურნირი. ამ ბრძოლას მეტი სიმძაფრე შემატა იტალიელთა მოულოდნელმა ჩარევამ საპრიზო ადგილების განაწილებაში.“

ესპადრონისტთა გუნდურ ტურნირში ოლიმპიური მედლებისთვის ბრძოლაში 13 ქვეყნის ნაკრები ჩაება. საბჭოთა მოფარიკავეებმა (ნუგზარ ასათიანი, ბორის მელნიკოვი, მარკ რაკიტა, იაკობ რილსკი) პირველ წრეში მასპინძელთა გუნდი დაამარცხეს — 9:2. ასათიანმა და მელნიკოვმა 3-3 ბრძოლა მოიგეს, რილსკიმ — 2, რაკიტამ — 1. მეოთხედფინალში საბჭოელებმა აშშ-ის ნაკრებს აჯობეს — 9:4, რითაც რევანში აიღეს რომის ოლიმპიადის მეოთხედფინალში მარცხისთვის. ამ შეხვედრაში საუკეთესო იყო ნუგზარ ასათიანი, რომელმაც ყველაზე მეტი — 4 ბრძოლა მოიგო და ლომის წილი შეიტანა საერთო წარმატებაში.

ნახევარფინალში საბჭოთა ესპადრონისტები ძველ მეტოქეს — პოლონეთის გუნდს დაუპირისპირდნენ, ხოლო იტალიელები — ფრანგებს. იტალიამ დაძაბულ ბრძოლაში აჯობა საფრანგეთს (8:7) და ფინალში გავიდა. არანაკლებ დაძაბული გამოდგა მეორე ნახევარფინალური შეხვედრა. მართალია, ასათიანმა ქულის აღება ვერ შეძლო, მაგრამ ამჯერად მისმა თანაგუნდელებმა იყოჩაღეს (მავლისანოვმა ოთხ მეტოქეს მოუგო, რაკიტამ — სამს) და საქმე გამარჯვებამდე მიიყვანეს — 9:7. პოლონელთაგან ყველაზე მეტი — სამი ბრძოლა მოიგო ეუი პავლოვსკიმ.

ფინალი: სსრკ-იტალია. ერთნი არასდროს არ ყოფილან ოლიმპიური ჩემპიონები, იტალიელებმა კი ეს ტიტული ბოლოს 60 წლის წინ, პარიზის VIII თამაშებზე მოიპოვეს.

ერთ მხარეს — ნუგზარ ასათიანი, უმარ მავლიხანოვი, იაკობ რილსკი და მარკ რაკიტა. მეორე მხარეს — ვლადიმირო კალარეზე, ჩეზარე სალვადორი, ჯანპაულო კალანჩინი და პიერლუიჯი ჩიკა. საბჭოელთაგან ყველაზე ტიტულიანია მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი იაკობ რილსკი, მეტოქეთაგან — ვლადიმირო კალარეზე, რომის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი პირადშიც და გუნდებშიც. იტალიელთაგან სწორედ ეს უკანასკნელი აღმოჩნდა ყველაზე მრისხნე მებრძოლი, ფინალში მან ოთხივე მეტოქეს მოუგო, მათ შორის ნუგზარ ასათიანსაც (5:1). ფინალი მავლიხანოვისა და კალანჩინის ორთაბრძოლით დაიწყო, რომელიც საბჭოელმა მოიგო. მომდევნო წყვილში ასათიანმა 5:1 დაამარცხა ჩიკა და საერთო ანგარიში 2:0 გახდა. მეტოქეთა ლიდერების — რილსკისა და კალარეზეს პაექრობა უაღრესად დაძაბული გამოდგა. აპენინელი წამის მეათედით ასწრებდა გამოცდილ რილსკის. ასე მოხდა იტალიელის გადამწყვეტი შეტევის დროსაც. მაშინ, როდესაც ანგარიში 4:4 იყო, კალარეზემ კვლავ დაასწრო მეტოქეს და ბოლო ქულაც აიღო. კალარეზემ შემდეგ მავლიხანოვს და რაკიტასაც სძლია, იმ დღეს მისი შეჩერება შეუძლებელი იყო. 1964 წლის 23 ოქტომბერს ვასედას უნივერსიტეტის დარბაზში ჩინებულად იბრძოდა ქართველი ესპადრონისტიც. საბჭოთა გუნდიდან იგი ყველაზე მეტჯერ, 16-ჯერ გამოვიდა საფარიკაო ბილიკზე და ასევე ყველაზე მეტ — 11 შეხვედრაში იმარჯვა, მათ შორის ფინალში სამი ორთაბრძოლა მოიგო. ოლიმპიურ თამაშებში, უდიდესი ფიზიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვების პირობებში, გადამწყვეტ შეხვედრებში გამარჯვება მხოლოდ ნამდვილ ოსტატებს ხელენიფერათ. ასათიანმა ფინალში ჩიკას შემდეგ, იტალიის ნაკრების კიდევ ორ წევრს — სალვადორის (5:2) და კალანჩინისაც (5:3) სძლია. ამ მატჩში გადამწყვეტი სწორედ ასათიანისა და კალანჩინის დასკვნითი ორთაბრძოლა გამოდგა. მაშინ, როდესაც საერთო ანგარიში 8:7 იყო საბჭოთა მუშკეტერების სასარგებლოდ, ასათიანმა ბოლო, მეცხრე ქულაც მოიპოვა და საბჭოთა ესპადრონისტთა ნაკრები პირველად დაუუფლა ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლებს.



ნუგზარ ასათიანი
და იური ოსიპოვი

სასიხარულოა, რომ ამ ისტორიულ გამარჯვებაში განსაკუთრებული წვლილი ნუგზარ ასათიანმა შეიტანა: „აი, სად გამოჩნდა კიდევ ერთხელ ნუგზარის რკინისებური ხასიათი. მან ერთხელაც არ შეიხარა ნარბი, იძრძოდა ისე, როგორც არასდროს. ნუგზარის სიმშვიდე სხვებსაც გადაედო. მისი გამოსვლის შემდეგ ანგარიში საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ იზრდებოდა. ასათიანის „რკინის ხელმა“ წერტილი დაუსვა „საუკუნის მატჩის“ — ნუგზარმა გაიმარჯვა დამამთავრებელ ბრძოლაშიც, რითაც ფარიკაობის ისტორიაში პირველად მსოფლიოს უძლიერესი გუნდის სახელი მოუხვეჭა საბჭოთა ხმლით მოფარიკავებს. აი, როდის თქვა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა იაკობ რილსკიმ — „როცა ნუგზარ ასათიანი ჩვენს გუნდშია, ყოველთვის მშვიდად ვარ“ (არჩილ გოგელია, „მუშკეტერები“. 1974).

თავად ნუგზარ ასათიანი ასე აღწერს იმ გადამწყვეტ ბრძოლას: „იტალიელი უხერხული მეტოქე გამოდგა. იგი უარყოფდა ბრძოლის კლასიკურ მანერას, მოულოდნელ გაგრძელებებს ირჩევდა, იბრძოდა ძალზე სწრაფ ტემპში. იმდენად ვღელავდი, რომ შეხვედრის მსვლელობა დაწვრილებით აღარ მახსოვს. მეგობრები მეუბნებოდნენ, ბრძოლა ლამაზი და დაძაბული იყოო. სილამაზისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ერთი კი ვიცი — წუთითაც არ მქონია მოსვენება... ჩვენი გუნდის წევრები სარბიელზე გადმოცვიდნენ, მეხვევიან, მილოცავენ. ჩემს ბედნიერებას საზღვარი არა აქვს. ვიყურები მონინაალმდეგისკენ, მას საფარიკაო ნიღაბი მოუხსნია, ისმენს თანაგუნდელების დამამშვიდებელ სიტყვებს, თვალები კი ცრემლითა აქვს სავსე. მე მესმის მისი, მინდა მივუახლოვდე, ხელი ჩამოვართვა... მაგრამ არა ღირს. ასეთი წუთები მეც გამომიცდია და მწარე გამოცდილებით ვიცი, რომ ამ დროს სპორტსმენს არავის დანახვა არ უნდა. ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი... რამდენჯერ მიოცნებია ამ უდიდეს პატივზე ბავშვობაში, რა მიუწვდომლად მეჩვენებოდა იგი. ამიტომ ტოკიოს ოლიმპიადა საუკეთესო ფურცელია ჩემს სპორტულ ბიოგრაფიაში“ (ნუგზარ ასათიანი, „მოფარიკავის ჩანაწერები“. 1974).

ეს იყო ქართული საფარიკაო სკოლის მეორე დიდი გამარჯვება. პირველი იყო ტურინის მსოფლიოს ჩემპიონატზე, როდესაც გურამ კოსტავას დაუკინებარი 21 გამარჯვებით, საბჭოთა ნაკრებმა დაშნაში პირველად ირგუნაოროს მედლები. და აი, ახლა ნუგზარ ასათიანის ოსტატობამ მნიშვნელო-



ვანწილად განაპირობა საბჭოთა ესპადრონისტების ოლიმპიური ტრიუმფი. დასანანი ის არის, რომ ქართველ მოფარიკავეს არ მიეცა პირად ტურნირში გამოსვლის შესაძლებლობა.

ნუგზარ ასათიანი: „ბედნიერი ვარ, რომ ჩემი წვლილი შევიტანე საბჭოთა ესპადრონისტთა გუნდურ გამარჯვებაში. მაგრამ გული მწყდება, რომ ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ გამოვედი პირად ასპარეზობაში. ასეთი იყო მწვრთნელთა გადაწყვეტილება. არადა, საბრძოლოდ ვიყავი განწყობილი და როგორც არასდროს, ისეთი რჩმენა მქონდა თავისა. იბრძოდნენ მავლიხანოვი, რილსკი და რაკიტა. პირად ჩათვლაში ჩვენი სამეცნიერო ფინანში მოხვდნენ მავლიხანოვი და რილსკი. მათ, როგორც ცნობილია, პირველი ორი ადგილი დაუთმეს ოლიმპიურ ჩემპიონს, უნგრელ პეტარ და ფრანგ არაბოს. ჩვენი მესამე ესპადრონისტი რაკიტაც სწორედ პეტარი დამარცხდა მერვედფინალში და გამოეთიშა ბრძოლას. უნგრელ ახალ ოლიმპიურ ჩემპიონთან კი მე „ძველი ანგარიშები“ მაქვს და უპირატესობა უმრავლესად ჩემს მხარეზე იყო. უკანასკნელად მას ოლიმპიურ წელს შევხვდი, ვარშავის ტურნირზე და დავამარცხე — 5:1. ასევე ჩემი გამარჯვებით დამთავრდა 1963 წლის მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში გადამწყვეტი ბრძოლა ამავე პეტარითან, როცა ნახევარფინალში საერთო გუნდური ანგარიში იყო 8:7 უნგრელთა სასარგებლოდ და რჩებოდა მხოლოდ ერთი — ჩვენი შერყინება. მე მოვიგე 5:4 და საერთო ანგარიში გათანაბრდა — 8:8 მაშინ ჩვენი გუნდი ჩხვლეტათ უკეთესი შეფარდებით გავიდა ფინალში... ლრმად ვარ დარწმუნებული, რომ პეტარ ტოკიოშიც ვაჯობებდი და რა დასანანია, რომ ამის დამტკიცების საშუალება არ მომეცა“ (ნუგზარ ასათიანი, „მოფარიკავის ჩანაწერები.“ 1974).

ქართველმა მოფარიკავებმა იაპონიიდან პირადი ტურნირის მედალი მაინც ჩამოიტანეს — გურამ კოსტავამ დაშნაში ბრინჯაოს ჯილდო დაიმსახურა, თუმცა მასაც უკეთესი შედეგის შანსი ჰქონდა. 25 ქვეყნის 65 მონაწილეს შორის სპეციალისტები ფავორიტებად ქართველ მუშკეტერსა და გასული წლის მსოფლიოს ჩემპიონს, ავსტრიელ როლანდ ლოზერტის მიიჩნევდნენ. ძლიერი კონკურენტი იყო რიგელი ბრუნო ხაბაროვიც, რომელიც უკვე ფლობდა მსოფლიოს ჩემპიონის ორ ტიტულს. ცხადია, საპრიზო სამეულზე სხვებსაც ჰქონდათ პრეტენზიები.


Շեմարհեցու ասքարեթօնքեքու սամուզը սածքոտա մոշկեթյօրմա նարմագիքօտ ցանցլոն, մագրամ մեղեքվեմբեթյօդոնալունան քրոննորս ցամուտունա ծրանի եա- ծարուց. ամ ցրանից ցուրամ կոստացաս մեսամե մշագու չէլոնճա. տծոլուսելմա մոցարուցացեմ արց Շեմդցոմին ճատմո პոնիցոյեքու ճա ունալմի ցազուճա. ցու- նալուր ռտեցուլմի մաստան ցրտաճ մոեցնեն ցուցելո ցրոցորո յրուսո, ծրո- դանելու չէնրու կոսպյոնսու ճա ուրանու չան լուսոյ սակարո. ասյու ցոմքանու- մու ցուրամ կոստացաս ար յնճա ցաֆորցեծուճա կուրքելուցու յմալուս սացյ- ելունից ասցալա, մուտ յմեցուս, մեռտեցունալմի տավաճայ ցնուճան համուուուլա մտացարո ցոնցուրենքու — ացսուրուցու լունիցորդո. մագրամ մի ճլուս կոստացաս ցորությունամ անցարաճ թուրու մեյքուս, յուրու նյուսուճ յու — օարալմա յմթյունա.

Կյենքուսպրուտ ցոնալմի პորցելու Շեխեցեդրա սածքոտա կացմուրուս հիմ- պունտան, ցրոցորո յրուստան չէլոնճա. ռրտաճռուլա յարտացելուս սրուլո շպուրացեսունուտ նարմարտա ճա մուսուզ ճամայերեցելո ցամարյացենուտ (5:2) ճա սարուլուճ. տուոյուս ոյերուս մեժուլուսկան ցնա ենուլու ոյու, մագրամ ցանսկուս մուոյուլուս հիմունոնագուս մեցացսաճ, այսաւ ար ցայմարտուլա. մամոն, պոլո- նետմի, ցաճամնցուցու ծրուլուս ճամտացրեծամճյ 10 նամուտ աճրյ 4:3-ս օցեծ- ճա ացսուրուցու լունիցորդուան ճա, ծեցուս որոնուտ, 4:5 ճամարցեճա. աելուաւ, ուրանու չան լուսոյ սակարոստան ցրտու հիշուլեցաճա սփորցեծուճա, մագրամ սենորյ ճա ցաճամնցուցու մոմենքմի ճամնուս ելույցերոմոնցունունամ յմթյ- ութա — կոստացաս ուրումուն նատյուրամ ար ճաացոյէսուրա. յս մոմենքու ուրանու մա նամուզը ցամուոյնա ճա ծուլու յուլաւ մուտուաճա — 5:4. ռոցորու ծրու- լուս Շեմդցը ցարուզա, ցուրամ կոստացաս ճամնուս նյուրուս ելույցերոմորտումո մոմենքեծուճա ճա հիշուլեցենից ալար րուացորդճա. ամ ցայցեցրունուտ յուցելանի մեցուճ ցրոցորո յրուսմա ուսարցեծճա. ցոնալուս մեսամե Շեխեցեդրամի ման չան լուսոյ սակարոս սելուա, ծրութանել չէնրու կոսպյոնտան ճամագիքուտ ռրտաճ- ռուլումուց օմարյացա ճա հիմունոն ցաճա.

Սուլծունուտ նյուցեցաճանցուուլմա կոստացամ ցոնալմի ծրութանելուան ամ նաացու ճա մեսամե աճցունուտուուս ելուակալա Շեխեցա չան լուսոյ սակարոս. ամյա- րաճ ցուրամմա սրուլու րուանմի ալու, 5:0 մուցուցու ճա ծրունչաս մեժուլս ճայ- ուցլա. օլումունուտ օլուս կորաճ քրոննուրենմի, հիմունոնունաստան ասյ աելուս, արց մանճյ ճա արց մերյ, յարտացել մոցարուցացտագան արացոն յուցուլա. ալիստ ամութումաւ, բույուս օլումունուտ ճա օլուս օնեարուլուս ցարճա, ցուլու ճա անցուտա.



...გაუთავებელ შეკრუ-
ბებსა და ჩემპიონატებში
ახალგაზრდობის წლებმა
სწრაფად გაირბინა, თუმცა
ნუგზარ ასათიანის სპორ-
ტულ კარიერაში კიდევ
რამდენიმე მწიგნელოვა-
ნი ასპარეზობა რჩებოდა.
გუნდისთვის თავდაცე-
ბულმა მებრძოლმა, საკუ-
თარი თავისისას მხოლოდ
კარიერის მიწურულს
მოიცალა, როგორც იქნა,
დაოჯახდა და მეუღლეს-
თან ერთად საქორწილო
მოგზაურობაში ლენინ-
გრადს გაემგზავრა.



ნუგზარ ასათიანი:
„გარკვეულ დრომდე ფა-
რიკაობა ჩემი ერთადერთი
სიყვარული იყო. მაგრამ
ადამიანის ცხოვრებაში
დგენა მომენტი, როცა მან
სიყვარული უნდა გაუნა-
ნილოს ოჯახს, შვილებს,
მეტი დრო უნდა დაუთმოს
საზოგადოებრივ საქმია-
ნობას. ეს განსაკუთრებით
ვიგრძენი მაშინ, როცა
დაიბადა ჩემი პირში
ნუგზარი.“

ოლიგარქი ფინანსის პარიზული გაგრძელება

პოპულარულმა პოლონურმა სპორტულმა ჟურნალმა „სპორტოვეცმა“ 1965 წლის შედეგების მიხედვით ფარიკაობის ცალკეულ იარაღებში მსოფლიოს საუკეთესო ათეულები გამოაქვეყნა. ეუი პავლოვსკისთან, პალ კოვაჩთან, ტიბორ პეჟასთან და სხვა საქვეყნოდ აღიარებულ მოფარიკავეებთან ერთად, ესპადრონისტთა ათეულში სპეციალისტებმა ნუგზარ ასათიანიც შეიყვანეს, ხოლო დაშნაში — გურამ კოსტავა. ეს პატივი მათ პირველ რიგში მსოფლიოს ჩემპიონატზე მოპოვებული წარმატების გამო ერგოთ.

1965 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი პარიზის პიერ დე კუბერტენის სახელობის დარბაზში ჩატარდა. ქართველი მუშკეტერებიდან პირველი გამოვიდა გურამ კოსტავა. დაშნის ოსტატთა პირად ჩემპიონატში 100-ზე მეტი სპორტსმენი ჩაეხა. კოსტავამ პირველ შესარჩევ ტურში 5 შეხვედრა მოიგო, მეორეში — 4. ამ ეტაპიდან საბჭოთა ნაკრებს ალექსეი ნიკანჩიკოვი გამოაკლდა, ხოლო როდესაც ჩემპიონატი ოლიმპიური სისტემით გაგრძელდა, ოქროს მაძიებლებს მხოლოდ თბილისელიდა შემორჩა. გურამმა მეოთხედფინალში დამაჯერებლად სძლია ბრიტანელ ჰოლსტედს, ნახევარფინალში — დასავლეთგერმანელ იუნგს და ფინალში მოხვდა. მასთან ერთად ფინალში გავიდნენ ბრიტანელი ჰენრი ჰოსკინსი, უნგრელი ზოლტან ნემერე და ახალგაზრდა ფრანგი უაკ ბროდენი. დამატებითი ნახევარფინალური ორთაბრძოლების შემდეგ, ამ კვარტეტს შეურთდნენ რიგელი ხაბაროვი და იტალიელი ბრედა. საბოლოოდ, ოქროს მედალი ნემერემ მიიღო, ვერცხლი — ჰოსკინსმა, ბრინჯაო — კოსტავამ. საბჭოთა დაშნით მოფარიკავეთაგან ეს საუკეთესო შედეგი იყო.

ტრადიციისამებრ, მსოფლიოს ჩემპიონატი ესპადრონისტთა გუნდური ტურნირით მთავრდებოდა. შეჯიბრების დასკვნით დღეს ნახევარფინალური და ფინალური ორთაბრძოლები გაიმართა. ნახევარფინალში საბჭოთა ნაკრების მეტოქე საფრანგეთის გუნდი იყო. ფრანგები გუნდურ და პირად ჩემპიონატებში დიდად არ გამოირჩეოდნენ. იმ პერიოდში ესპადრონში ელექტრონაპარატურა ჯერ კიდევ არ იყო დანერგილი და მსაჯები დარტყმებს თვალით აფიქსირებდნენ. ორივე გუნდის თხოვნით, სსრკ-საფრანგეთის მატჩის მსაჯად დაინიშნა მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, პოლო-




ნელი ეჟი პავლოვსკი, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მოფარიკავეთა შორის. პავლოვსკიმ პირნათლად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. ოლიმპიურმა ჩემპიონებმა — საბჭოთა მოფარიკავებმაც იოლად აჯობეს ფრანგებს — 9:5 და ფინალში გავიდნენ. მეორე ნახევარფინალურ წყვილში, სადაც ერთმანეთს იტალიისა და უნგრეთის ესპადრონისტები ხვდებოდნენ, იტალიელებმა ასეთივე ანგარიშით გაიმარჯვეს.

ამრიგად, პარიზში რომის ოლიმპიადის ფინალი განმეორდა: სსრკ-იტალია. საჩემპიონო ბრძოლა ამჯერადაც დრამატული გამოდგა. ოლიმპიადის შემდეგ საბჭოთა ნაკრების შემადგენლობა არ შეცვლილა (ასათიანი, მავლიხანვი, რაკიტა, რილსკი), აპენინელებს ერთი ახალქედა (გ.ნარდუცი) დაემატა, ლიდერად კი კვლავ ვლადიმირო კალარეზე რჩებოდა, რომელთანაც ასათიანმა რომაულ ფინალში ერთადერთი შეცვედრა წააგო.

პირველ წრეში უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია — 2:2. მეორე წრის შემდეგ ანგარიში კვლავ თანაბარი იყო — 4:4. მესამე წრეში დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია — 6:6. ასათიანს ამ დროისთვის უკვე ორი შეცვედრა ჰქონდა მოგებული. მეოთხე რაუნდში კალარეზემ ასათიანს აჯობა და იტალიელები დაანინაურა (7:6), მაგრამ ეს მათი ბოლო გამარჯვება გამოდგა. მავლიხანოვმა სალვადორე დაამარცხა, რაკიტამ — კალანჩინი, რილსკიმ — ნარდუცი. 9:7 — ასეთი ანგარიშით მოიგეს სსრ კავშირის მოპარიკავებმა და დაამტკიცეს, რომ მათი ოლიმპიური წარმატება სრულიად კანონზომიერი იყო. ნუგზარ ასათიანმა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულს მსოფლიო ჩემპიონის ოქროც მიუმატა.

საქორეილო საჩუქარი

ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებსა და პარიზის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოპოვებული ოქროს მედლები ნუგზარ ასათიანის სპორტული კარიერის „ევერესტი“ იყო. სადებიუტო რომის თამაშების გარდა, უმედლოდ არასდროს დარჩენილა. 1966 წელს ბუდაპეშტში, ევროპის თასის გათამაშებაზე, მორის სახევაქესთან ერთად მესამე ადგილი დაიკავა. უნგრეთის, იტალიის, საფრანგეთისა და გფრ-ის ფარიკაობის ფედერაციების ინიციატივით, ეს



ფარიჯაობის გაეცემილი
ოლიმპიური ჩემპიონისგან



ტურნირი 1961 წლიდან ტარდებოდა რაპირასა და დაშნაში, 1966 წელს კი პროგრამაში ესპადრონიც შეიტანეს. თასის გათამაშებაში ევროპის ქვეყნების ჩემპიონატებში გამარჯვებული კლუბები მონაწილეობდნენ. ქართველები დინამოელთა კლუბში გამოდიოდნენ. ამ კლუბმა ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში იტალიის „ტურინს“ აჯობა, მთავარ პრიზს კი უნგრული „პონვედი“ დაეუფლა.

...გაუთავებელ შეკრებებსა და ჩემპიონატებში ახალგაზრდობის წლებმა სწრაფად გაირჩინა, თუმცა ნუგზარ ასათიანის სპორტულ კარიერაში კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპარეზობა რჩებოდა. გუნდისთვის თავდადებულმა მებრძოლმა, საკუთარი თავისთვის მხოლოდ კარიერის მიწურულს მოიცალა. როგორც იქნა, დაოჯახდა და მეუღლესთან ერთად საქორნილო მოგზაურობაში ლენინგრადს გაემგზავრა. გზად როსტოკში „შეიარეს“, სადაც საბჭოთა კავშირის თასის მორიგი გათამაშება ტარდებოდა. შუა საუკუნეების რაინდების დარად, ნუგზარმა თავისი რჩეულის თვალწინეული მეტოქე დაამარცხა და ქალბატონ რუსუდანს „საჩუქრად“ ტურნირის მთავარი პრიზი მიართვა.

ამ გამარჯვების მიუხედავად, საკავშირო ნაკრების ხელმძღვანელები მანც არ ენდნენ და მსოფლიოს მომდევნო ჩემპიონატზე, მონრეალში არ წაიყვანეს. გუნდმა იქ ოქროს მედალები მოიპოვა, პირად პირველობაში კი მარკრაკიტამ იმარჯვა. ცოტა ხანში საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა ჩატარდა. ნუგზარ ასათიანმა უძლიერესი მეტოქეები, მათ შორის მარკრაკიტაც დაამარცხა და საბოლოოდ ვერცხლის მედალი მოიპოვა.

პარიერის მიურულს

კარიერის მიწურულს ნუგზარ ასათიანმა კიდევ ერთხელ დაისაკუთრა საბჭოთა კავშირის თასი. ეს მოხდა სარატოვში, 1968 წელს. ესპადრონში თასისთვის ბრძოლაში 45 მუშკეტერი ჩაება. დილის ორთაბრძოლების შემდეგ, შეჯიბრებას ექვსი ფინალისტი შემორჩა, სულ რჩეული მუშკეტერები — ოლიმპიური თამაშების და მსოფლიოს ჩემპიონატების მედალოსნები. ფინალში ასათიანმა ოთხ შეხვედრაში გაიმარჯვა და მხოლოდ ერთი

დათმო. ასევე ოთხ-ოთხი მოგება ჰქონდათ ნაზღლიმოვსა და მავლიხანოვს. დამატებით ორთაბრძოლაში ქართველმა მუშკეტერმა ორივეს აჯობა და საბჭოთა კავშირის თასს დაეუფლა. ეს სარეკორდო შედეგი იყო. ასათიანმა ისე დატოვა დიდი სარბიელი, ქვეყნის მთავარი პრიზის ოთხჯერ მოპოვება ვერავინ შესძლო.

სარატოვი ნუგზარ ასათიანისთვის იღბლიანი ქალაქი გამოდგა. საკავშირო სარბიელზე თავისი პირველი გამარჯვება სწორედ აქ მოიპოვა, როცა 1955 წლის ჭაბუკთა პირველობა მოიგო; 1960 წელს „ბურევესტნიკის“ გუნდთან ერთად ასევე სარატოვში დაისაკუთრა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის პირველი ოქროს მედალი და ბოლო თასიც აქ აიღო. მეხიკოს ოლიმპიადამდე რამდენიმე თვით ადრე, რიგამ სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საკავშირო პირველობას უმასპინძლა. ნუგზარ ასათიანი აქაც წარმატებით გამოვიდა. ახალგაზრდა კონკურენტებთან ერთად, მან მთავარი მეტოქე — მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი იაკობ რილსკიც დაამარცხა და პირველობა ისე მოიპოვა, ტურნირში ერთი ორთაბრძოლაც არ წაუგია.

ოლიმპიური თამაშების წინ ბოლო რეპეტიცია კვლავ ბალტიისპირეთში მოეწყო: ტალინში სსრ კავშირის მორიგი ჩემპიონატი ჩატარდა. განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა ესპადრონისტთა გუნდური ტურნირი. ფავორიტად, როგორც ყოველთვის, არმიელები ითვლებოდნენ. პირად პირველობაში პირველი-მეექვსე ადგილები სწორედ მათ დაიკავეს. ნუგზარ ასათიანი ამჯერად „დინამოს“ ლირსებას იცავდა, მორის სახვაძე კი „ბურევესტნიკის“ გუნდში გამოდიოდა. საბოლოოდ, ასათიანმა ვერცხლის მედალი მიიღო, სახვაძემ — ბრინჯაოსი. ჩემპიონის ტიტული არმიელმა სპორტსმენებმა დაისაკუთრეს.

ერთ-ერთ მატჩში, როცა დინამოელები „ბურევესტნიკს“ ხედებოდნენ და 0:5-ს აგებდნენ, ასათიანმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ნამდვილი გუნდური მებრძოლი იყო. მან რილსკისთან ერთად ზედიზედ მოიგო რამდენიმე შეხვედრა და ანგარიში გათანაბრდა — 8:8. საბოლოოდ, ჩხვლეტებით დინამოელებმა იმარჯვეს.

საბჭოთა ნაკრების კანდიდატებს დასკვნითი საწვრთნელი შეკრება წახაძორში ჰქონდათ. იქვე ჩატარდა შესარჩევი შეჯიბრებებიც. ნუგზარ ასათიანი კონკურენტებს შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო. წესით, საბ-



ჭოთა ნაკრების ხელმძღვანელებს ნუგზარი ოლიმპიურ გუნდში უნდა დაებრუნებინათ. თბილისელმა მუქეტერმა მეხიკოს თამაშებამდე არაერთხელ დაამტკიცა, რომ ამას ობიექტურად იმსახურებდა, მაგრამ მწვრთნელებმა სხვაგვარად განსაჯეს. მეხიკოს ოლიმპიადა მის გარეშე ჩატარდა. „ოლიმპიადის წინ გამოქვეყნდა ხმლით მოფარიკავეთა ნაკრები გუნდის შემადგენლობა. მასში არ იყო ნუგზარ ასათიანი. რა მოხდა? ნუთუ ნუგზარმა ვერ შეძლო ხუთეულში მოხვედრა? ეს კითხვა ყველას გვაწუხებდა. მოგვიანებით გავიგეთ, რომ შესარჩევ შეჯიბრებაში ნაკრები გუნდის მწვრთნელებმა სპორტულ შედეგებს რატომძაც ყურადღება არ მიაქციეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნუგზარი საბჭოთა გუნდის წევრი უნდა ყოფილიყო, რადგანაც ყველაზე უკეთ ჩატარა შეხვედრები და დამაჯერებლად დაისაკუთრა პირველი ადგილი“ (არჩილ გოგელია, „მუშკეტერები“. 1974).

მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზე ვერც გურამ კოსტავა გაემგზავრა. საკავშირო ნაკრებში ადგილი არც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონისთვის გამოიძებნა. ამასობაში დასასრულს მიუახლოვდა ორი დიდი მოფარიკავის სპორტული კარიერა. მთავრდებოდა ქართული ფარიკაობის ოქროს ხანაც. მის ალორძინებას კიდევ მრავალი წელი დასჭირდება, ვიდრე ვლადიმერ აფციაურის ჯერი არ დადგება და ახლა უკვე მის ოსტატობაზე იქნება დამოკიდებული საბჭოთა ნაკრების ბედი სეულის ოლიმპიადაზე...

ნუგზარ ასათიანი: „გარკვეულ დრომდე ფარიკაობა ჩემი ერთადერთი სიყვარული იყო. მაგრამ ადამიანის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა მან სიყვარული უნდა გაუნანილოს ოჯახს, შვილებს, მეტი დრო უნდა დაუთმოს საზოგადოებრივ საქმიანობას. ეს განსაკუთრებით ვიგრძენი მაშინ, როცა დაიბადა ჩემი პირმშო ნუგზარი. არასოდეს ჰყოლია ჩემს ხმალს ასეთი „ულმობელი“ მეტოქე. ბოლოს და ბოლოს, ისიც ხომ ნუგზარ ასათიანია...“

ნუგზარ ასათიანი

დაიბადა 1937 წლის 16 ივლისს ქუთაისში. ხმლით მოფარიკავე. XVIII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გუნდურ ტურნირში (1964, ტოკიო), XVII ოლიმპიური თამაშების მონაცილე (1960, რომი. მეოთხედფინალი), მსოფლიოს ჩემპიონი გუნდურ შეჯიბრებაში (1965), ორგზის მეორე (1961, 63) და მესამე პრიზიორი (1962), სტუდენტთა მსოფლიო თამაშების მეორე პრიზიორი (1961), სსრკ ჩემპიონი პირად (1961) და გუნდურ შეჯიბრებებში (1960-64), სსრკ თასის ოთხგზის მფლობელი (1960-68). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. ვახტანგ გორგასლის II ხარისხის მრდენის კავალერი. გარდაიცვალა 1992 წლის 2 აპრილს.



NUGZAR ASATIANI

Saber fencer, was born on July 16, 1937 in Kutaisi. He was a champion of the XVIII Olympic Games (Tokyo, 1964) in the team event and entrant of the XVII Olympic Games (1960, Rome, quarterfinal). Asatiani was the world champion in a team contest (1965), twice silver (1961, 1963) and bronze medalist (1962) and silver medalist of the World Students Games (1961). He was the USSR champion in personal (1961) and team contests (1960-1964) and four-time USSR cup winner (1960-1968). Asatiani was the Honored Master of Sports of the USSR, and referee of the international category. He was awarded with Vakhtang Gorgasali Order of 2nd class. Asatiani deceased on April 2, 1992.